საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის

2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების

ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება	4
შესავალი	8
ზოგადი პროგრესი	9
დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში	11
გამოწვევები და რეკომენდაციები	39

2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების საინფორმაციო კამპანია

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.
- ევროპის საბჭოს, თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.
- გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარებისთვის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციასა და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2023 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

მისია, ხედვა, ღირებულებები

საარჩევნო ადმინისტრაციის მისია – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადება და ჩატარება. აგრეთვე, დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განვითარება და განმტკიცება, სადაც დაცული და გარანტირებულია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების თავისუფალი და შეუზღუდავი რეალიზაცია.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული ხედვა – ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები.

მისიისა და სტრატეგიული ხედვის წარმატებით განხორციელების დროს საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

გამჭვირვალობა	საქმიანობის ღიაობა, საჯაროობა და ინფორმაციის მისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე
პროფესიონალიზმი	კომპეტენტური და პასუხისმგებლიანი საარჩევნო მოხელეების ძალისხმევით საარჩევნო პროცესის სანდოდ და სამართლიანად წარმართვა
ინკლუზიურობა	ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი გარემოს შექმნა და საქმიანობაში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება
ინოვაციურობა	სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვა საარჩევნო პროცესებში
თანამშრომლობა და ჩართულობა	პარტნიორული ურთიერთობების განვითარება საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან
დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	კანონზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

მოკლე შეჯამება

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიით განსაზღვრულია 3 პრიორიტეტი, 6 მიზანი და 13 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად 2023 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო 50 აქტივობა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა 37 აქტივობა, ექვსი – მეტწილად და ხუთი – ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო ორი აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 86.8 პროცენტს.

აქტივობების განხორციელებამ ამოცანებთან მიმართებაში მოგვცა შემდეგი შედეგები სტრატეგიული მიზნების მიხედვით:

სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

2023 წელს საზოგადოებასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ განაახლა კომუნიკაციის სტრატეგია და რეგულარულად ახდენდა საზოგადოებისა და ჩართული მხარეების ინფორმირებას საარჩევნო სიახლეების შესახებ, მათ შორის ცესკოს ინიციატივით შექმნილი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში. თანამშრომლობის ფორმატების შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ჩართული მხარეების წარმომადგენლებმა საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფორმატები დადებითად, მაქსიმალური 25 ქულიდან 21.94 ქულით შეაფასეს.

საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად საარჩევნო ადმინისტრაცია ინტენსიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს. განსაკუთრებული ინტენსივობით ტარდებოდა საარჩევნო ელექტრონული მოწყობილობების დემონსტრირება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. 2023 წელს 1 708 ასეთი შეხვედრა გაიმართა, მათ შორის 255 – ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ და 186 – მაღალმთიან რეგიონებში.

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ცოდნის ასამაღლებლად 2023 წელს ჩატარდა ოთხი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა ახალგაზრდებისთვის და საინფორმაციო კურსი პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენელებისთვის. სასწავლო პროგრამების განხორციელებით მიღწეულია დაგეგმილი პროგრესი, რაც გამოიხატა მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის გაზრდითა და მონაწილეთა უმეტესობის მიერ პროგრამების დადებითი შეფასებით. მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაიზარდა 9 319-ით და შეადგინა 38 817. პროგრამების მონაწილეთა 90 პროცენტზე მეტი კმაყოფილია სასწავლო კურსით.

მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

2023 წელს გამართული რიგგარეშე/შუალედური არჩევნების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იყო ხუთი საჩივარი. საჩივრების მცირე რაოდენობის გამო ცესკოს არ ჩაუტარებია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და საჩივრების ანალიზი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების პერიოდში საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

აგრეთვე, 2023 წელს ცესკომ, საარჩევნო პროცედურების დაზუსტების ან/და დახვეწის მიზნით, მიიღო 31 დადგენილება. რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილ წინადადებებს, 2023 წელს ამის საჭიროება არ დამდგარა.

სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

მართვის ხარისხის გასაუმჯობესებლად, 2023 წელს განახლდა ცესკოს აპარატის ყველა დეპარტამენტის საქმიანობის ბიზნესპროცესების ამსახველი დოკუმენტები და ჩატარდა თემატური სამუშაო შეხვედრები ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის. ამოცანის ინდიკატორის შესაბამისად, ცესკოს აპარატის თანამშრომლებმა მართვის ინსტრუმენტები დადებითად შეაფასეს.

მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2023 წელს ჩატარდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აუდიტი. აუდიტის შედეგად დადასტურდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიზნები, ამოცანები, პერფორმანსის მონიტორინგი და ანგარიშგება შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. შესაბამისად, გაგრძელდა საერთაშორისო სერტიფიკატის მოქმედების ვადა.

მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარებისთვის 2023 წელს შემუშავდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამისა და გენდერული პორტალის განვითარების ტექნიკური დავალება, თუმცა პროექტები ვერ განხორციელდა ფინანსური და ადამიანური რესურსების არარსებობის გამო.

მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძღიერება

ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების გეგმის შესაბამისად ჩატარებული სამი ტრენინგის შედეგად, გადამზადდა 55 თანამშრომელი. გარდა ამისა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის სწავლების ცენტრის მიერ განახლებული კონცეფციის შესაბამისად, ოთხ ეტაპად ჩატარდა 284 სატრენინგო სესია 29 აპრილისა და 387 სატრენინგო სესია – 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის განხორციელებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასწავლო კურსის შესაფასებლად, ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 98% თვლიდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდა კენჭისყრის დღეს მათ წინაშე არსებულ პრაქტიკულ საჭიროებებს.

საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიცირებულ მოხელეთა რესურსის გასაზრდელად 2023 წელს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და, ახალი საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასერტიფიკაციო გამოცდები. სულ ჩატარდა ექვსი გამოცდა, რომელშიც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 20 874-მა პირმა. შედეგად, 2023 წელს გაიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 1 090, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 8 468 და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 10 565 სერტიფიკატი.

საერთო ჯამში, 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი[1] იყო:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 2 828 სერტიფიკატი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 8 468 სერტიფიკატი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 10 565 სერტიფიკატი.

სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით და ტრადიციული მეთოდით ჩასატარებელი საარჩევნო პროცედურების ერთიანი სტანდარტის დასანერგად, მომზადდა საარჩევნო ოპერაციებისა და ლოგისტიკის ბიზნესპროცესები.

მიზანი 6. ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში

2023 წელს ჩატარებულ რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე მოხდა ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) პილოტირება და არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით 29 აპრილს – 117, ხოლო 1 ოქტომბერს – 103 საარჩევნო უბანზე ჩატარდა.

ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები შეფასდა ამომრჩეველთა მიერ. 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99-მა პროცენტმა ელექტრონული ტექნოლოგიები დადებითად შეაფასა. 93 პროცენტისთვის ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურა იყო მარტივი და გასაგები. ასევე, 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების 97 პროცენტის აზრით, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ შეამცირა ხმის მიცემისთვის საჭირო დრო.

[1] სერტიფიკატები, რომელთაც არ გასვლიათ მოქმედების ვადა დადგენილი წესის შესაბამისად.

ელექტრონული სერვისების განვითარებისთვის, 2023 წელს, ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამაში შეიქმნა პროგრამული მოდულები, რომლითაც 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე ისარგებლა ორმა საარჩევნო სუბიექტმა და დისტანციურად წარადგინა ორი მაჟორიტარი და ერთი მერობის კანდიდატი.

ყველა საარჩევნო უბანი (220), სადაც ცესკოს გადაწყვეტილებით 2023 წელს რიგგარეშე/შუალედური არჩევნები ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი).

2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის 165 საარჩევნო უბნიდან 15 უბნის შენობას ჰქონდა მარტივი ადაპტაცია, ხოლო 54 უბანზე მოეწყო პანდუსი. 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის 133 საარჩევნო უბნიდან 17 უბნის შენობას ჰქონდა მარტივი ადაპტაცია, ხოლო 29 საარჩევნო უბანზე მოეწყო პანდუსი.

შესავალი

2023 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომლითაც განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2026 წლისთვის, ეტაპობრივად, არსებითი ხელშესახები შედეგების მიღწევას.

ზემოხსენებული სტრატეგიის მიხედვით შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2023 და 2024 წლების გეგმების გამიჯვნის შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშგებასა და მონიტორინგს ახორციელებს დამტკიცებული წესის საფუძველზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში შემუშავდა ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, სწავლების ცენტრის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური სტატუსანგარიშების საფუძველზე.

ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული აქტივობების აღწერა ცხრილის სახით (დანართი 1).

წლიური ანგარიშის მომზადების მიზანს წარმოადგენს 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებით მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების გამოვლენა შემდეგი სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მიხედვით:

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური გაძლიერება;
- ტექნოლოგიური განვითარება.

წლიური ანგარიში არ მოიცავს სრულ ინფორმაციას 2023 წელს ჩატარებული შუალედური/რიგგარეშე არჩევნების შესახებ. არჩევნების ანგარიშების ნახვა შესაძლებელია ცესკოს ვებგვერდზე.[2]

ანგარიშის მომზადების დროს შეფასდა ამოცანებისა და მათი შედეგების ინდიკატორების შესრულების პროცესი. რიგ შემთხვევებში ამოცანის შედეგის ინდიკატორების გაზომვა არ იყო შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი ამოცანის შესრულება მოიცავს გრძელვადიან პერიოდს და გულისხმობს საერთო არჩევნების ჩატარებას.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიაში აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრულია 6 მიზანი და შესაბამისი 13 ამოცანა, რომელთა შედეგების მიღწევის მიზნით 2023 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო 50 აქტივობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, გარდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა, განხორციელდა არაერთი სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი აქტივობა. აქტივობების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 86.8 პროცენტს და კლასიფიცირდება ოთხი კატეგორიის ფარგლებში. კერძოდ:

- განხორციელდა – 37 აქტივობა;
- მეტწილად შესრულდა – 5 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულდა – 6 აქტივობა;
- არ დაწყებულა – 2 აქტივობა (აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა).

[2] 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ანგარიში მოცემულია ბმულზე: https://tinyurl.com/y5yfka3a
1 ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ანგარიში მოცემულია ბმულზე: https://tinyurl.com/49epz2ra

ზოგადი პროგრესი

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 50 აქტივობიდან განხორციელდა 37, რომელთა წილი მთელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობის 76 პროცენტს შეადგენს. ექვსი აქტივობა მეტწილად შესრულდა, ხუთი – ნაწილობრივ, ხოლო ორი – არ დაწყებულა (აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა). ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (1).

დიაგრამა 1. აქტივობების შესრულების სტატუსი და რაოდენობა



განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები შესრულდა დადგენილ ვადებში და განსაზღვრული მოცულობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. აქტივობების განხორციელების დონე და რაოდენობა, მათი სტატუსების მიხედვით, ამოცანების შესრულების ჭრილში, წარმოდგენილია დიაგრამაზე (2).

დიაგრამა 2. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 50 აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ცესკოს აპარატის რვა სტრუქტურული ერთეული, სწავლების ცენტრი და ორი სამუშაო ჯგუფი, კერძოდ:

- იურიდიული დეპარტამენტი;
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი;
- საფინანსო დეპარტამენტი;
- საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი;
- ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი);
- სწავლების ცენტრი.

ინფორმაცია ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ აქტივობების შესრულების სტატუსების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე (3).

დიაგრამა 3. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიხედვით



დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საზოგადოების ინფორმირება და განათლება;
- სამართალწარმოების პროცესის განვითარება.

მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

3 ამოცანა	**ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი**	**12 საქმიანობა**	**საქმიანობის შესრულების 26 ინდიკატორი**

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

1.1 საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;

1.2 ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ;

1.3 ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება.

დაგეგმილი აქტივობებიდან 11 განხორციელდა, ხოლო ერთი მეტწილად განხორციელდა. სტატისტიკური ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (4).

დიაგრამა 4. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების შესრულებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 1.1. საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

1.1.1. თანამშრომლობის ფორმატების შეფასება ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ.

2023 წელს განახლდა საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია.[3] სტრატეგიის თანახმად განისაზღვრა შემდეგი საკომუნიკაციო მიზნები:

- ამომრჩევლების ინფორმირება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
- საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ;
- საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

კომუნიკაციის სტრატეგიის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ:

- ამომრჩევლები – აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები;
- ჩართული მხარეები – პოლიტიკური პარტიები/საარჩევნო სუბიექტები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო მედია, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციები;
- საქართველოს ცენტრალური და რეგიონული საჯარო უწყებები;
- მსხვილი კერძო ორგანიზაციები.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ სამიზნე აუდიტორიის ინფორმირებისთვის განისაზღვრა კომუნიკაციის შემდეგი არხები – მედია, სოციალური მედია, ვებგვერდი, კონტაქტ-ჰაბი, საჯარო ღონისძიებები, ბეჭდური მასალა, ალტერნატიული საკომუნიკაციო არხები. კომუნიკაციის არხების განახლების შემდეგ გაიზარდა სამიზნე აუდიტორია, 2023 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 1 700-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ინფორმაცია 149 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო.

განახლებული კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში, საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შექმნა სხვადასხვა ფორმატი, რომლებშიც მონაწილეობა შესთავაზა:

- 33 საერთაშორისო ორგანიზაციას და საელჩოს;
- 21 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას;
- 26 ეროვნულ და 24 რეგიონულ მედიასაშუალებას.

თანამშრომლობის აღნიშნულ ფორმატებში გაიმართა 15 შეხვედრა. შეხვედრებზე საარჩევნო ადმინისტრაციისა და ჩართული მხარეების წარმომადგენლებმა განიხილეს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიულ გეგმასთან, საკანონმდებლო სიახლეებთან, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან, რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებთან და ამომრჩეველთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნული ამოცანის ინდიკატორი ითვალისწინებდა თანამშრომლობის ფორმატების შეფასებას. ამ მიზნით ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედიის, ცესკოში შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა (შშმ პირები) და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების, ასევე საზოგადოებრივ საკითხებზე მომუშავე ექსპერტების, სულ 70 წარმომადგენელმა. თითოეულმა რესპონდენტმა გამოხატა დამოკიდებულება შემდეგი მოსაზრებების მიმართ:

[3] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია დამტკიცებულია ცესკოს 2023 წლის 25 აპრილის №124/2023 განკარგულებით და განთავსებულია ცესკოს ვებგვერდის ბმულზე: https://tinyurl.com/35wbybxk

- საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის არსებული ფორმატი მიმარტივებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიღებას;
- თანამშრომლობის არსებული ფორმატის ფარგლებში ამომწურავი ინფორმაცია მივიღე საარჩევნო ადმინისტრაციის გეგმებისა და საქმიანობის შესახებ;
- თანამშრომლობის არსებული ფორმატის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია იყო მნიშვნელოვანი/საჭირო;
- თანამშრომლობის არსებული ფორმატის ფარგლებში მქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის მოსაზრებების/რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა;
- თანამშრომლობის არსებული ფორმატის მეშვეობით გამიადვილდა კომუნიკაცია საარჩევნო ადმინისტრაციასთან.

გამოკითხვის დროს თითოეული საკითხი რესპონდენტებმა ერთიდან ხუთამდე ქულით შეაფასეს. მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილ იქნა საშუალო ქულა. ეს მეთოდი შესაძლებლობას მოგვცემს, ყოველწლიურად ჩატარებული გამოკითხვების საშუალო შეფასება შევადაროთ 2023 წლის გამოკითხვის მაჩვენებელს და გავზომოთ პროგრესი ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში. შეფასების შედეგები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით მოცემულია ცხრილში (1).

ცხრილი 1. შეფასება მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით

მიზნობრივი ჯგუფი	მაქსიმალური ქულა	საშუალო ქულა
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	25	21.71
საერთაშორისო ორგანიზაციები	25	20.7
მედია	25	22.21
ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი	25	22.2
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი	25	22
საზოგადოებრივ საკითხებზე მომუშავე ექსპერტები	25	23.6

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ჩართული მხარეების წარმომადგენლებმა საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფორმატები მაქსიმალურად შესაძლებელი 25 ქულიდან 21.94 საშუალო ქულით შეაფასეს, რაც გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით 87.7 პროცენტს შეადგენს და მაღალი შეფასებაა. აღსანიშნავია, რომ საბაზისო 2022 წლის მაჩვენებელთან (56%) მიმართებაში არის 31.7 პროცენტიანი ზრდა.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები) დაინტერესების ნაკლებობით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 1.2. ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

1.2.1. ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა (მათ შორის შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის)

1.2.2. საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა (მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების, შშმ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის)

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად არსებული 14 მექანიზმიდან ცესკომ 14-ივე გამოიყენა, კერძოდ: ცესკოს ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ცესკოს ბრიფინგები, სარეკლამო რგოლები, საინფორმაციო პოსტერი, საინფორმაციო ფლაერი, ცესკოს კონტაქტ-ჰაბი, შეხვედრები ჩართულ მხარეებთან, ვიდეოინსტრუქცია საარჩევნო უბნებზე, ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, გარე ბანერები (ბილბორდები) და საინფორმაციო სააგენტოების გვერდები.

აღსანიშნავია, რომ ყველა საინფორმაციო ფლაერი აღჭურვილი იყო QR კოდით. QR კოდის საშუალებით უსინათლო პირებს ინფორმაციის მიღება აუდიო ფორმატში, ხოლო ყრუ პირებს – ჟესტურ ენაზე შეეძლოთ. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირებას, მათთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე განთავსებული იყო ინფორმაცია ცესკოს ვებგვერდზე, ასევე ნათარგმნი იყო საინფორმაციო რგოლები, პოსტერი და ფლაერები. დეტალური მონაცემები გამოყენებული ინფორმირების ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ მოცემულია ცხრილში (2).

ცხრილი 2. ინფორმირების ინსტრუმენტები

N	ინფორმირების ინსტრუმენტები	რაოდენობა
1	ცესკოს ვებგვერდზე, სოციალური ქსელებსა და მედიაში გავრცელებული პრეს რელიზები	300
2	ეროვნულ და რეგიონულ მედიაში, ცესკოს ვებგვერდზე და სოციალური ქსელებში გავრცელებული განცხადებები	12
3	ცესკოსა და სსკ-ების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში	29
4	ცესკოს თავმჯდომარის ვრცელი ინტერვიუ რეგიონულ ბეჭდურ მედიაში	9
5	ცესკოში გამართული ბრიფინგები	30
6	კომუნიკაცია კონტაქტ-ჰაბის მეშვეობით	5 610
7	ვიდეორგოლები	13
8	სხვადასხვა სახეობის საინფორმაციო ფლაერი	7

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად 2023 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა 1 708 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის 186 მაღალმთიან და 255 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში მოხდა 149 000-ზე მეტი მოქალაქის ინფორმირება. საინფორმაციო შეხვედრებზე, ქვეყნის მასშტაბით, ხალხმრავალ ადგილებში იმართებოდა ელექტრონული აპარატების დემონსტრირება. იუსტიციის სახლებში, მომსახურების სააგენტოს ფილიალებში,

მეტროსადგურებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საჯარო დაწესებულებებში, კერძო კორპორაციებსა და საჯარო დღესასწაულებზე მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, პირადად ენახათ და პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატების მუშაობა. ყველა შეხვედრაზე გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები. დეტალური ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების შესახებ მოცემულია ცხრილში (3).

ცხრილი 3. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების არეალი.

მაღალმთიანი რეგიონები		**ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში**	
საარჩევნო ოლქის დასახელება	შეხვედრების რაოდენობა	საარჩევნო ოლქის დასახელება	შეხვედრების რაოდენობა
N19 თიანეთი	12	N11 საგარეჯო	13
N28 დუშეთი	25	N15 ლაგოდეხი	22
N29 ყაზბეგი	22	N17 თელავი	29
N43 ონი	22	N21 გარდაბანი	22
N44 ამბროლაური	23	N22 მარნეული	31
N45 ცაგერი	16	N23 ბოლნისი	38
N46 ლენტეხი	9	N24 დმანისი	16
N47 მესტია	15	N25 წალკა	11
N80 ქედა	14	N26 თეთრიწყარო	18
N82 შუახევი	12	N37 ახალციხე	29
N84 ხულო	16	N40 ახალქალაქი	13
სულ 186		N41 ნინოწმინდა	13
		სულ 255	

სიახლეს წარმოადგენდა ცესკოს ვებგვერდზე საპილოტე რეჟიმში განთავსებული სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ რესურსი (თამაში) – „ნახე, როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში“, სადაც ნებისმიერ პირს შეეძლო ონლაინ გაევლო კენჭისყრის პროცედურები. 2023 წელს ამ შესაძლებლობით ცესკოს ვებგვერდის მომხმარებლებმა 3 512-ჯერ ისარგებლეს.

2023 წელს გაგრძელდა საქმიანობა ცესკოს შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის კუთხით, კერძოდ: დამუშავდა მედიაში გავრცელებული 922 ინფორმაცია და მომზადდა საინფორმაციო სივრცის კვლევის სამი ანგარიში. ანგარიშების თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციის საწინააღმდეგოდ გავრცელებული 157 ინფორმაციიდან 74 იყო იმიჯის შემლახავი, 29 – მანიპულაციისა და 54 – დეზინფორმაციის შემცველი. ინფორმაციის სიზუსტის პრინციპის დარღვევის თაობაზე ცესკომ მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რომელმაც დაადგინა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევის ფაქტი.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა საარჩევნო ადმინისტრაციების მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იყო „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია არჩევნებში“. კონფერენციაზე 25 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა იმსჯელა არჩევნებში ინოვაციური, ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საინფორმაციო ღონისძიებების მიმართ საზოგადოების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 1.3. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

1.3.1. საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა უმეტესობის დადებითი შეფასება

1.3.2. საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა

2023 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს ოთხი საინფორმაციო-სასწავლო კურსი ახალგაზრდებისთვის, კერძოდ: არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი, საარჩევნო სამართალი, საარჩევნო განვითარების სკოლა და ახალგაზრდული ბანაკები. ოთხივე პროგრამა საერთო ჯამში გაიარა 9 319-მა პირმა. დეტალური ინფორმაცია 2023 წელს ახალგაზრდებისთვის განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ მოცემულია ცხრილში (4).

ცხრილი 4. ინფორმაცია საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ

პროგრამის დასახელება	**სამიზნე ჯგუფი**	**განხორციელების არეალი**	**მონაწილეთა რაოდენობა**	
			2022 წელი	2023 წელი
არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი	საჯარო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეები	64 მუნიციპალიტეტი 315 საჯარო სკოლა	5 886	6 597
საარჩევნო სამართალი	უნივერსიტეტის სტუდენტები	8 უნივერსიტეტი	590	687
საარჩევნო განვითარების სკოლა	18-25 წელი	64 მუნიციპალიტეტი	62	1 544
ახალგაზრდული ბანაკები	21-29 წელი	დაბა ბაკურიანი	224	491
		სულ	**6 617**	**9 319**

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ახალგაზრდებისთვის ჩატარებული ოთხი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამიდან ორის მონაწილეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები.

საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ მონაწილეთა მიერ შევსებული შეფასების ფურცლების ანალიზის თანახმად, 95 პროცენტი გამოთქვამს კმაყოფილებას სასწავლო კურსით. მოსწავლეთა კომენტარებიდან ქვემოთ მოყვანილი ორი ამონარიდი გამოხატავს საერთო განწყობას.

„ძაღიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სკოლის მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების კუთხით. ვისწავლეთ მეტი, ვიდრე სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე წლების განმავლობაში ვსწავლობდით და მიხარია, რომ ვინმეს აინტერესებს სკოლის მოსწავლეების ნეალური განათლების მიღების პრინციპი“.

„ელექტრონული არჩევნები ძაღიან საინტერესოა ჩემთვის, მეგონა, რომ ყველაფერი ინტერნეტთან იყო დაკავშირებული, თუმცა სხვაგვარად აღმოჩნდა. ქალების ჩართულობა არჩევნებში, რომელიც საუკუნეზე მეტს ითვლის საქართველოში, სასიამოვნო მოსასმენია. ტრენინგი და ტრენერი ძაღიან მომეწონა“.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსის „საარჩევნო სამართალი“ მონაწილეთა მიერ შევსებული შეფასების ფურცლების ანალიზის თანახმად, 97 პროცენტი სასწავლო პროგრამას უმაღლეს შეფასებას აძლევს. სტუდენტების კომენტარებიდან ქვემოთ მოყვანილი ორი ამონარიდი გამოხატავს საერთო განწყობას.

„ავითვისეთ და შევისწავლეთ ძაღიან საინტერესო თემები, საარჩევნო კოდექსი, თეორია და პრაქტიკა, აგრეთვე ყოველი ლექციის ნაწილს შემეცნებით თამაშებს ვუთმობდით. პირადად ძაღიან კმაყოფილი ვარ და მიხარია რომ ამდენი სიკეთე შევისწავლეთ, რაც როგორც იურისტებს შემდგომში გამოგვადგება“.

„წიგნიც და პრეზენტაციებიც, კონკრეტული და მარტივი ენითაა დაწერილი, რაც სწავლის პროცესს ამარტივებს“.

რაც შეეხება კურსებს „საარჩევნო განვითარების სკოლასა“ და „საარჩევნო ბანაკებს“, შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა, კურსდამთავრებულების ზეპირი შეფასებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი დადებითად აფასებენ სასწავლო კურსებს. 2023 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მონაწილეთა რაოდენობა. პროექტი ჩატარდა 64 მუნიციპალიტეტში და გაიარა 1 544-მა მონაწილემ, რაც გვაძლევს გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ პროექტი მონაწილეთა შორის ინტერესით სარგებლობს.

გარდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა, ცესკომ და სწავლების ცენტრმა საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამები საკანონმდებლო და საარჩევნო სიახლეების, არჩევნებში ელექტრონული საშუალებების გამოყენების, არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების, არჩევნებში ჩართული მხარეების როლისა და უფლებების შესახებ. ჩართულმა მხარეებმა ასევე დადებითად შეაფასეს მათთვის განკუთვნილი სასწავლო-საინფორმაციო კურსები. მონაწილეთა მიერ შევსებული შეფასების ფურცლების ანალიზის თანახმად, 91 პროცენტის აზრით, საინფორმაციო შეხვედრამ გაამართლა მოლოდინები, ხოლო 97 პროცენტის აზრით, შეხვედრის თემატიკა იყო ინფორმაციული. მონაწილეთა კომენტარებიდან ქვემოთ მოყვანილი ორი ამონარიდი გამოხატავს საერთო განწყობას.

„ძაღიან კარგი და საინტერესო შეხვედრა იყო. ეს სისტემა ნამდვილად გაამარტივებს და უფრო შედეგიანს გახდის საარჩევნო პროცესს“.

„ჩემი აზრით, საარჩევნო პროცედურები შედარებით გამარტივებულია და უსაფრთხოა“.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში, პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით მიღწეულია დაგეგმილი პროგრესი, რაც გამოიხატა მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის ზრდით. დეტალური ინფორმაცია მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის შესახებ, 2015-2023 წლების მიხედვით მოცემულია დიაგრამებში (5-8).

დიაგრამა 5 .



დიაგრამა 6 .[4]



[4] წინა პერიოდების ანგარიშებისგან განსხვავებით, მონაცემები გაზრდილია და მოიცავს სასწავლო პროგრამაში 2010-2014 წწ. მონაწილეთა რაოდენობას.

დიაგრამა 7.



დიაგრამა 8.



ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების მიმართ მიზნობრივი ჯგუფების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

2 ამოცანა	ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი	3 საქმიანობა	საქმიანობის შესრულების 5 ინდიკატორი

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

2.1 საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება;

2.2 სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება.

დაგეგმილი აქტივობებიდან ერთი განხორციელდა, ხოლო ორის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (9).

დიაგრამა 9. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 2.1. საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

2.1.1. საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით OSCE/ODIHR სადამკვირვებლო მისიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა

2023 წელს საქართველოში არ ჩატარებულა არჩევნები, რომელსაც ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისია დააკვირდებოდა. შესაბამისად, ვერ ვიმსჯელებთ ამოცანის ინდიკატორის შესრულებაზე. რაც შეეხება საარჩევნო დავებს, 2023 წელს გამართული რიგგარეშე/შუალედური არჩევნების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იყო ხუთი საჩივარი. აქედან, ცესკოში – ერთი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში – ოთხი. მათ შორის მხოლოდ ერთი, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შესახებ, ეხებოდა არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენებას.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეკომენდაციების არაერთგვაროვანი გათვალისწინებით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 2.2. სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

2.2.1. საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისთვის ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების რაოდენობა

2.2.2. ცესკოს მიერ საკანონმდებლო ორგანოში წინადადებების წარდგენა

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ცესკომ, საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისა და დახვეწისთვის, მიიღო 31 დადგენილება. მიღებული დადგენილებები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ;
- საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანისა და გამოქვეყნების წესის განსაზღვრის შესახებ;
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ამის საჭიროება არ ყოფილა. შესაბამისად, არ დამდგარა ამოცანით გათვალისწინებული ცესკოს მიერ წარდგენილი წინადადებების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული რისკ ფაქტორი.

სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- მართვის ეფექტიანობის ზრდა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება.

მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

2 ამოცანა	**ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი**	**13 საქმიანობა**	**საქმიანობის შესრულების 29 ინდიკატორი**

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

3.1 მართვის ხარისხის გაუმჯობესება;

3.2 მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება.

დაგეგმილი აქტივობებიდან შვიდი განხორციელდა, სამი მეტწილად შესრულდა და სამი ნაწილობრივ შესრულდა. ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (10).

დიაგრამა 10. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 3.1. მართვის ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

3.1.1. თანამშრომლების მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასება

2023 წელს, მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა შიდა აუდიტი, ხოლო ივნისის თვეში საერთაშორისო აუდიტორის მიერ დისტანციურად განხორციელდა მე-3 საკონტროლო აუდიტი. შიდა და გარე აუდიტი წარმატებით განხორციელდა და ცესკომ შეინარჩუნა მის მიერ მოპოვებული საერთაშორისო სერტიფიკატი. აუდიტის შედეგად დადასტურდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიზნები, ამოცანები, პერფორმანსის მონიტორინგი და ანგარიშგება შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. შიდა აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ:

> *„ორგანიზაცია მუდამ ზრუნავს გაუმჯობესებაზე და ახორციელებს მთელ რიგ ინოვაციურ პროექტებს, მათ შორის აღსანიშნავია გამჭვირვალობისადმი მიმართული ღონისძიებები, რაც გამოიხატება საქმიანობის ღიაობის, საჯაროობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ამასთან, საარჩევნო პროცესში მუდმივად ინერგება სიახლეები და დაინტერესებულ მხარეებს მუდმივად მიეწოდებათ ხარისხზე ორიენტირებული მომსახურება“.*

მართვის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შიდა და გარე აუდიტის მიერ მართვის ხარისხთან მიმართებით რეკომენდაცია არ დაწერილა.

ცესკოს აპარატში მართვის გაუმჯობესების მიზნით, თანამშრომელთა მაღალი ჩართულობით, ჩატარდა შემდეგი სამუშაო შეხვედრები:

- ცესკოს აპარატის საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებზე – 118 თანამშრომლისა და 22 ხელმძღვანელი პირისთვის;
- ცესკოს აპარატის თანამშრომლების საქმიანობების განხორციელების პროცესში კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდის საკითხებზე – აპარატის 89 თანამშრომლისა და 22 ხელმძღვანელი პირისთვის;
- „მოტივაციის არსი და მნიშვნელობა“ – ცესკოს აპარატის 105 თანამშრომლისთვის;
- „მოტივაცია, როგორც მართვის ინსტრუმენტი“ – ცესკოს სტრუქტურული ერთეულების 34 ხელმძღვანელი პირისთვის (დეპარტამენტის უფროსი, განყოფილების უფროსი, მენეჯერი).

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, თანამშრომელთა მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასების მიზნით, ჩატარდა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა გამოკითხვა. გამოკითხულმა თანამშრომლებმა შეაფასეს მათი უშუალო ხელმძღვანელის მიერ გამოყენებული მართვის ინსტრუმენტები და მეთოდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით თანამშრომელთა უმრავლესობამ აღნიშნული საკითხები დადებითად შეაფასა.

გარდა აღნიშნულისა, მართვის გაუმჯობესების მიზნით, ცესკოს აპარატში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- განახლდა ცესკოს აპარატის ყველა დეპარტამენტის საქმიანობის ბიზნესპროცესების ამსახველი დოკუმენტები და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებთან;
- მომზადდა და ცესკოს ხელმძღვანელობას წარედგინა მართვის სახელმძღვანელო პრინციპების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- განხორციელდა თანამშრომელთა შეფასების სისტემის ანალიზი. თანამშრომლებმა თავად შეაფასეს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, თითოეული ფუნქციისთვის საჭირო კომპეტენციები/უნარები (პიროვნული უნარ-ჩვევები, ტექნიკური უნარ-ჩვევები და სხვა), საქმიანობების სიხშირე და პერიოდი, რის შემდეგაც განხორციელდა ფუნქციური კომპეტენციებისა და სამუშაო აღწერილობების შედარებითი ანალიზი.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების, ასევე, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის გაუმჯობესებისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა სამი სამუშაო შეხვედრა, რომლებსაც დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიების 41 ხელმძღვანელი პირი.

2023 წელს განახლდა ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელის – HR პორტალის კონცეფცია, თუმცა, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტი განხორციელდება საჭირო რესურსების მოძიების შემდეგ.

ჩატარდა საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები ცესკოს აპარატში ახლადდანიშნულ და საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩეულ წევრებთან. შეხვედრას დაესწრო ცესკოს აპარატიდან 45 თანამშრომელი და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან 11 წევრი.

სამუშაო პროცესში რისკებისა და კრიზისების იდენტიფიცირების მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიმართულებების საფუძველზე შემუშავდა სტრატეგიული ზომები პოტენციური რისკების შესამცირებლად.

სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტისა და სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი წესის შესაბამისად, სწავლების მიზნებიდან და ფორმატიდან გამომდინარე, შემუშავდა მონიტორინგის და შეფასების განხორციელებისათვის შესაბამისი ფორმები.

საანგარიშო პერიოდში დიდი სამუშაო იქნა გაწეული სწავლების მონიტორინგის განხორციელების წლიური გეგმის შესაბამისად. სწავლების მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო მასალები და განახორციელა შემდეგი ოთხი სასწავლო პროგრამის მონიტორინგი:

- საარჩევნო ადმინისტრატორის ტრენერთა ტრენინგი;
- საარჩევნო ადმინისტრატორის მოსამზადებელი კურსები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენერთა ტრენინგი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები.

ზემოაღნიშნული სასწავლო პროექტების მონიტორინგის ანგარიშები წარდგენილია ცესკოს თავმჯდომარისთვის.

საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული და სხვა პირებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცესკოს ადმინისტრაციული შენობისა და 36 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა-ნაგებობების ინსპექტირება და შედგა შესაბამისი ინსპექტირების ოქმები. ინსპექტირების პროცესში იდენტიფიცირებული საფრთხეების ანალიზი, შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებები აისახა რისკების შეფასების დოკუმენტებში, სადაც განხილული და შეფასებულია, რა რისკის ქვეშ შეიძლება დააყენოს სამუშაო სივრცეში არსებულმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა ნებისმიერი პირი.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე, ცესკოს თავმჯდომარის სამართლებრივ აქტებში შევიდა ცვლილებები, ასევე, დაწესდა ახალი რეგულაციები. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებიდან სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების 138 წარმომადგენლისთვის ჩატარდა პირველადი დახმარებისა და სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგები.

ცესკოს ინსტიტუციური მეხსიერების შექმნისა და 1991-2010 წლების დოკუმენტების სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივისთვის გადაცემის მიზნით, დასრულდა ცესკოს არქივში დაცული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მმართველობითი და პირადი წარმოშობის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური შემფასებელი ექსპერტიზა და კანონმდებლობით დადგენილი წესით დოკუმენტების საქმეებად აკინძვა. ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებში მოხდა 25 პასუხისმგებელი თანამშრომლის გადამზადება საარქივო საქმისწარმოების შესახებ.

ექსპერტიზის შედეგად შედგა აქტი იმ დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ, რომლებსაც გაუვიდათ შენახვის დადგენილი ვადები, არ გააჩნიათ სამეცნიერო-ისტორიული ღირებულება და დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა. სულ გასანადგურებლად გამოიყო 2018 წლამდე არსებული 7 231 საქმე. მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერების პროექტების განხილვა, საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დასამტკიცებლად და შესათანხმებლად წარდგენა და სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის 1991-2010 წლების დოკუმენტების სახელმწიფო შესანახად გადაცემა დაგეგმილია მომდევნო საანგარიშო პერიოდში, ვინაიდან სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო შესანახად მიღება ხდება კალენდარული წლის დასრულების შემდეგ.

საქმისწარმოების პროცესის სტანდარტიზაციის მიზნით, განახლდა „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების წესი“, სადაც განისაზღვრა საარქივო დოკუმენტების ფორმირების/სისტემატიზაციისა და არქივში ჩაბარების წესი, მათ შორის ელექტრონულად შესანახი დოკუმენტების შენახვის/დაარქივების წესი. შეიქმნა ცესკოს კორესპონდენციის შაბლონები და განხორციელდა მათი ინტეგრირება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument).

საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და ადამიანური რესურსების განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, 2023 წელს განხორციელდა 29 საერთაშორისო ვიზიტი, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის 74-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორისაა 12 საერთაშორისო კონფერენცია, 12 სადამკვირვებლო მისია და სამუშაო შეხვედრები 5 ვიზიტის ფარგლებში.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 3.2. მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

3.2.1. მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების რაოდენობა

3.2.2. პროგრამების შეფასება მომხმარებელთა მიერ

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შემუშავდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის კონცეფცია, სადაც განისაზღვრა პროგრამის სტრუქტურა და ფუნქციონალური მოდულები. თუმცა, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება გადაიდო და განხორციელდება საჭირო რესურსების მოძიების შემდეგ.

ჩამოყალიბდა და დონორ ორგანიზაციას გადაეგზავნა გენდერული პორტალის კონცეფცია. დონორის მიერ შერჩეულმა კონტრაქტორმა კომპანიამ უარი განაცხადა პროექტის განხორციელებაზე, შესაბამისად, გენდერული პორტალის გამოყენება გაგრძელდა არსებული ფორმით.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში პროგრამების შეფასება ვერ მოხერხდა, ვინაიდან 2023 წელს მართვის ელექტრონული ინსტრუმენტები არ დანერგილა.

აღსანიშნავია, რომ ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში დადგა არასაკმარისი ფინანსური რესურსებით გამოწვეული რისკ ფაქტორი.

მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძღიერება

2 ამოცანა	**ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორი**	**10 საქმიანობა**	**საქმიანობის შესრულების 31 ინდიკატორი**

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

4.1 ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება;

4.2 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა.

დაგეგმილი აქტივობებიდან ათივე განხორციელდა. ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (11).

დიაგრამა 11. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 4.1. ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

4.1.1. კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა

4.1.2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების რაოდენობა, რომელსაც დასჭირდა შესწორების ოქმები

4.1.3. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგის ეფექტიანობა შეფასებულია

ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ შეფასება მოხდება 2024 წლის ანგარიშში, საერთო არჩევნების ჩატარების შემდეგ. რაც შეეხება გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2023 წლის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული ოთხი ტრენინგიდან ჩატარდა სამი ტრენინგი. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ მოცემულია ცხრილში (5).

ცხრილი 5.

სასწავლო კურსის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
ლოგისტიკის პროცესების მართვა	4
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით)	45
მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა	6

საოლქო საარჩევნო კომისიების მანდატის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობებისა და კენჭისყრის პროცესში გამოსაყენებელი ელექტრონული აპარატების ფუნქციონირების წესის შესახებ სწავლების ცენტრმა ინსტრუქტაჟი ჩაუტარა ათი საოლქო საარჩევნო კომისიის 143 წევრს, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე გაიმართა 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედური არჩევნები. ტექნოლოგიურ სიახლეებზე საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, გაიმართა 63 საოლქო საარჩევნო კომისიის 298 წევრთან. ანალოგიური ინსტრუქტაჟი 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის ჩაუტარდა სამი საოლქო საარჩევნო კომისიის 40 წევრს.

აგრეთვე, შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, გადამზადდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები.

2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დაგეგმილი იყო 236 სატრენინგო სესიის ჩატარება. სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 65-მა ტრენერმა ჩაატარა 284 სატრენინგო სესია (დაგეგმილთან მიმართებით ჩატარებული სესიების რაოდენობის ზრდა განაპირობა დამატებით ეტაპზე კომისიების იმ წევრების გადამზადების აუცილებლობამ, რომლებიც შეიცვალნენ ან ვერ დაესწრნენ განვლილი ეტაპის ტრენინგებს, ასევე, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთათვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობამ). ინფორმაცია ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობის შესახებ მოცემულია ცხრილში (6).

ცხრილი 6.

ტრენინგის ეტაპები	დასასწრებ პირთა რაოდენობა	დამსწრეთა რაოდენობა	დასწრების მაჩვენებელი
I ეტაპი	492	444	90%
II ეტაპი	2121	1472	69%
დამატებითი ეტაპი	697	208	30%
III ეტაპი	492	442	90%
გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი	12	11	92%

2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, დაგეგმილი იყო 346 სატრენინგო სესიის ჩატარება. სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 40-მა ტრენერმა ჩაატარა 387 სატრენინგო სესია (დაგეგმილთან მიმართებით ჩატარებული სესიების რაოდენობის ზრდა განაპირობა დამატებით ეტაპზე კომისიების იმ წევრების გადამზადების აუცილებლობამ, რომლებიც შეიცვალნენ ან ვერ დაესწრნენ განვლილი ეტაპის ტრენინგებს). ინფორმაცია ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობის შესახებ მოცემულია ცხრილში (7).

ცხრილი 7.

ტრენინგის ეტაპები	დასასწრებ პირთა რაოდენობა	დამსწრეთა რაოდენობა	დასწრების მაჩვენებელი
I ეტაპი	395	349	88%
II ეტაპი	1686	1034	61%
დამატებითი ეტაპი	698	202	29%
III ეტაპი	2036	1332	65%
IV ეტაპი	399	348	87%

2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის განხორციელებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასწავლო კურსის მიმართ მონაწილეთა დამოკიდებულების შესაფასებლად ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამოკითხვა. სულ ელექტრონული კითხვარი გაეგზავნა 1 234 პირს, ხოლო გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 878-მა პირმა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილეთა 98 პროცენტი თვლიდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა შესაბამისობაში იყო კენჭისყრის დღეს მათ წინაშე არსებულ პრაქტიკულ საჭიროებებთან. ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე (12).

დიაგრამა 12. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამოკითხვის შედეგები



პოტენციური ტრენერების მომზადებისთვის, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა პროფილური სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავდა ტრენერის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს. პროგრამის მონაწილეები სხვა საკითხებთან ერთად გაეცნენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების გამოყენებით კენჭისყრის პროცესის განხორციელების წესებს. აგრეთვე, გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მოხდა პოტენციურ ტრენერთა კორპუსის ფორმირება. სულ შერჩეულ იქნა და გადამზადდა 118 ტრენერი.

2023 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“. პროექტი მიზნად ისახავდა დაინტერესებული პირების საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციურ წევრებად გადამზადებასა და საარჩევნო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ პროფილურ სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები საარჩევნო პროცესში ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე გაკეთდა. საინფორმაციო-სასწავლო კურსი სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 206-მა ტრენერმა განახორციელა. ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე (13).

დიაგრამა 13. საარჩევნო ადმინისტრატორის კუთხები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის



ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებლით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 4.2. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

4.2.1. სერტიფიცირებულ პირთა კუმულატიური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით (1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირება; 2. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირება; 3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირება.)

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი იყო:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 2 828 სერტიფიკატი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 8 468 სერტიფიკატი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 10 565 სერტიფიკატი.

2023 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად მოეწყო საგამოცდო ცენტრები, გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა და პროგრამულად და სისტემურად გაიმართა კომპიუტერული ტექნიკა, ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება. ვადების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების მსურველთა რეგისტრაცია. დეტალური ინფორმაცია სერტიფიცირების პროცესის შესახებ მოცემულია ცხრილში (8).

ცხრილი 8. ინფორმაცია სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ

სერტიფიკატის ტიპი	გამოცდის ჩატარების პერიოდი	საგამოცდო ცენტრების რაოდენობა	გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა
საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი	12-19 იანვარი	**1** თბილისი	**782**	**365**	**90**
	4-7 დეკემბერი	**13** თბილისი (2), თელავი, რუსთავი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ტყიბული, ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ბათუმი	**1 773**	**1 252**	**1 000**
საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი	11-16 სექტემბერი	**16** მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, შუახევი	**6 299**	**4 912**	**4 813**
	25-28 ოქტომბერი	**12** თბილისი (3), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, გორი, მესტია, ოზურგეთი	**4 430**	**3 696**	**3 655**
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი	27 სექტემბერი 6 ოქტომბერი	**16** მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, შუახევი	**8 124**	**5 861**	**5 813**
	10-16 ნოემბერი	**12** თბილისი (3), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, გორი, მესტია, ოზურგეთი	**6 257**	**4 788**	**4 752**

2023 წელს გაიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 1 090, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 8 468 და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 10 565 სერტიფიკატი. ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სერტიფიცირების მიმართ მოქალაქეების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან;
- ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში.

მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

1 ამოცანა	**ამოცანის შედეგის 1 ინდიკატორი**	**4 საქმიანობა**	**საქმიანობის შესრულების 4 ინდიკატორი**

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ერთი ამოცანის გადაჭრა:

5.1 საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია.

დაგეგმილი ოთხი აქტივობიდან ოთხივე განხორციელდა. ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (14).

დიაგრამა 14. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 5.1. საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

5.1.1. ჩატარებული არჩევნების შეფასება

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ შეიქმნა საარჩევნო ოპერაციების შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც მოხდება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასება. გარდა ამისა, საარჩევნო ოპერაციების ერთიანი სტანდარტის დასანერგად, საარჩევნო ოლქების/უბნებისთვის გაიწერა საარჩევნო ოპერაციების ბიზნესპროცესები როგორც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ისე ტრადიციული მეთოდით ჩასატარებელი არჩევნების შესახებ. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებისა და საბუთების სახეების დადგენა;
- საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების რეგისტრაცია;
- საარჩევნო ინვენტარისა და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაციის ლოგისტიკა;
- საარჩევნო უბნების მოწყობა დადგენილი სტანდარტის მიხედვით;
- საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ რუქაზე ასახვა;
- ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირება;
- არჩევნების ელექტრონული მართვის სისტემაში საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობის მონიტორინგი;
- არჩევნების შედეგების დამუშავება და გამოქვეყნება.

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც გამოყენებული იქნება ელექტრონული ტექნოლოგიები, ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა 1 500-დან 3 000-მდე გაიზარდა. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით საჭირო გახდა საარჩევნო უბნების საზღვრების ცვლილება. საარჩევნო უბნების საზღვრების დასადგენად დეტალურად იქნა შესწავლილი 2021 წლის არჩევნებისთვის შექმნილი 3 664 საარჩევნო უბანი. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისათვის შეიქმნა 2 755 საარჩევნო უბანი, მათ შორის 1 988 საარჩევნო უბანი, სადაც კენჭისყრის დღეს გამოყენებული იქნება ელექტრონული საშუალებები და 767 საარჩევნო უბანი, სადაც არჩევნები ჩატარდება ტრადიციული წესით. საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის შემუშავდა საარჩევნო უბნების გამსხვილების ერთიანი სტანდარტი.

ლოგისტიკის უზრუნველყოფისთვის შეიქმნა ერთიანი ბიზნესპროცესი, სადაც დეტალურად გაიწერა საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის დასაწყობების, რაოდენობის განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ეტაპები.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არჩევნებთან ახლო ვადაში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

მიზანი 6. ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში

3 ამოცანა	**ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი**	**8 საქმიანობა**	**საქმიანობის შესრულების 22 ინდიკატორი**

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

6.1 კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით;

6.2 ელექტრონული სერვისების განვითარება;

6.3 ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა.

დაგეგმილი რვა აქტივობიდან ოთხი განხორციელდა, ერთი – მეტწილად შესრულდა და სამი – ნაწილობრივ შესრულდა. ინფორმაცია სტატუსის მიხედვით აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (15).

დიაგრამა 15. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით



აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები ამოცანის ინდიკატორებთან მიმართებაში:

ამოცანა 6.1. კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

6.1.1. საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც გამოყენებული იყო ტექნოლოგიები

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წლის რიგგარეშე/შუალედური არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით 29 აპრილს – 117, ხოლო 1 ოქტომბერს 103 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. არჩევნებზე მოხდა ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) ფართომასშტაბიანი პილოტირება. პილოტირების დროს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დადგინდა სისტემის ტექნიკური მოთხოვნები და ელექტრონულ მოწყობილობებში განთავსდა აპარატებისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინფორმაცია;
- უწყვეტი დატვირთვის პირობებში მოხდა აპარატების ტესტირება;
- კენჭისყრის დღისთვის გაიმართა და უბნების მიხედვით დაკომპლექტდა PCOS-ები, VIU-ები;
- საარჩევნო უბნისთვის ტექნიკურად და პროგრამულად გაიმართა პლანშეტები;
- მომზადდა ელექტრონული აპარატებისთვის განკუთვნილი ბიულეტენების საბეჭდი ვერსიები.

2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოკითხა არჩევნებში მონაწილე 4 370 ამომრჩეველი. გამოკითხულთა 99 პროცენტი ელექტრონულ ტექნოლოგიებს დადებითად აფასებს და ტრადიციული წესით ხმების დათვლასთან შედარებით მეტი ნდობით არის განწყობილი. ამასთან, ამომრჩეველთა 93 პროცენტისთვის ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურა იყო მარტივი და გასაგები. დეტალური ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაში (16).

დიაგრამა 16. ამომრჩეველთა დამოკიდებულება ელექტრონული ტექნოლოგიების მიმართ





2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ ამომრჩეველთა აზრის შესწავლის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოკითხა არჩევნებში მონაწილე 4 617 ამომრჩეველი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურა იყო მარტივი და გასაგები. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა თვლიდა, რომ საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებამ გაამარტივა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესი. ამომრჩევლები ასევე გამოკითხეს ხმის მიცემის პროცედურის შესახებ. გამოკითხული ამომრჩევლები თვლიდნენ, რომ საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენებამ შეამცირა ხმის მიცემისთვის საჭირო დრო და უფრო სანდო გახადა ხმის მიცემის პროცედურა. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შესახებ მოცემულია დიაგრამებზე (17-18).

დიაგრამა 17. ხმის მიცემის დრო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით



დიაგრამა 18. ხმის მიცემის პროცედურა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით





29 აპრილის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებს 12 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის 30-მდე წარმომადგენელი დააკვირდა. შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე დამკვირვებლებმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა დადებითად შეაფასეს. ქვემოთ მოყვანილი ციტატები გამოხატავს საერთო განწყობას:

„კოლეგებთან ერთად მქონდა საშუალება დავსწრებოდი პროცესს ქუთაისის ექვს საარჩევნო უბანზე. აღვნიშნავ, რომ საპილოტე პროექტი, რომელიც ამ არჩევნებზე იყო წარმოდგენილი, წარმატებული გახდა. კომისიამ შეძლო ტექნოლოგიების გამოყენება შედეგების დაჯამების დასაჩქარებლად. ასევე, იყო უზრუნველყოფილი თავისუფალი, ღია და სამართლიანი გარემო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, გამართულად მუშაობდნენ კომისიის წევრები.“

ღოს ანჯელესის ადმინისტრაციული ოლქის ხელმძღვანელი დინ ღოგანი

„ყველაზე მეტად აღსანიშნია ის ეფექტიანობა, რომელიც ჩვენ საარჩევნო უბნებში დავინახეთ. ჩვენ ვნახეთ, ტემპი, როგორ ხდებოდა ხმის მიცემა, როგორ ხდებოდა მაგალითად მარკირება და რამდენად სწრაფად მოხდა წინასწარი შედეგების გამოქვეყნება. ამ არჩევნების გამოცდილება არის პოზიტიური დასაწყისი, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მოემზადოს 2024 წლის არჩევნებისთვის.“

საერთაშორისო დამკვირვებელი ჯონ ჰოლინსი

„საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ ბრწყინვალე სამუშაო შეასრულა არჩევნებისთვის მზადების პერიოდში. ცესკომ, მისმა თავმჯდომარემ გუნდთან ერთად ბრწყინვალედ გაუწია ორგანიზება ამ არჩევნებს. ჩვენ დავაკვირდით ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოში და ეს იყო დიდი გამოწვევა თქვენთვის. მინდა აღვნიშნო, რომ წარმატებით გაიარეთ ეს დიდი გამოცდა. თერჯოლაში და ქუთაისში დაკვირვებისას ვნახეთ საარჩევნო კომისიების წევრების მიერ კარგად გაწეული პროფესიული სამუშაო. ყველაფერმა კარგად იმუშავა საარჩევნო პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე და ჩაიარა ეფექტურად. დასკვნის სახით გეტყვით, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს არჩევნები შევაფასოთ როგორც თავისუფალი და სამართლიანი, სადაც დაცული იყო ხმის მიცემის ფარულობა.“

ბოსნია და ჰერცოგოვინას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სუად არნაუტოვიჩი

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის მოთხოვნებთან პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 6.2. ელექტრონული სერვისების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

6.2.1. სერვისების რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით

6.2.2. მიზნობრივი ჯგუფების მიერ სერვისების შეფასება

ამოცანის პირველ და მეორე ინდიკატორებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სერვისების რაოდენობის განსაზღვრა და მათი შეფასება მიზნობრივი ჯგუფების მიერ მოხდება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

2023 წელს ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამაში კანდიდატებისთვის (მაჟორიტარი/მერი) შეიქმნა პროგრამული მოდულები, რომელთა საშუალებითაც 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის ისარგებლა ორმა საარჩევნო სუბიექტმა და წარადგინა ორი მაჟორიტარი და ერთი მერობის კანდიდატი.

მომზადდა ტექნიკური დავალება EMS სისტემაში პარტიული სიის (პარლამენტის/საკრებულოს) ელექტრონული რეგისტრაციის მოდულისთვის და განხორციელდა „პარტიული სიის“ ელექტრონული რეგისტრაციის მოდულის (პარლამენტი/საკრებულო) ქვემოდულის – „საკრებულო“ ტესტირება.

ამომრჩევლების საინფორმაციო აპლიკაციის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა ტექნიკური დავალება და გაიწერა აპლიკაციაში დასამატებელი საკითხები.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონულ სერვერებზე კიბერშეტევით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 6.3. ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

6.3.1. ელექტრონული მოწყობილობებით (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) აღჭურვილი საარჩევნო უბნების რაოდენობა

6.3.2. ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მისაწვდომი საარჩევნო უბნების წილი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში

ახალი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, შემუშავდა კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შეიქმნა საარჩევნო უბნების სტანდარტის დოკუმენტი. დოკუმენტი ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს:

- საარჩევნო უბნების ფართების მოცულობა – ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად;
- საარჩევნო უბანზე განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების რაოდენობა;
- მისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის.

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წლის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის საარჩევნო უბნებისთვის შენობა-ნაგებობების გამოყოფის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ ითანამშრომლა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილი იყო 29 აპრილს – 117, ხოლო 1 ოქტომბერს – 103 საარჩევნო უბანი.

ამოცანის მეორე ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის 165 საარჩევნო უბნიდან 15 უბნის შენობას ჰქონდა მარტივი ადაპტაცია, ხოლო 54 უბანზე მოეწყო პანდუსი. 2023 წლის 1 ოქტომბრის

რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის 133 საარჩევნო უბნიდან 17 უბნის შენობას ჰქონდა მარტივი ადაპტაცია, ხოლო 29 საარჩევნო უბანზე მოეწყო პანდუსი.

საარჩევნო უბნების აღჭურვისთვის, 2023 წელს, ცესკომ ხმის მთვლელი აპარატები, ვერიფიკაციის აპარატები, მაკოპლექტებელი ყუთები, მარკერები, თერმული ქაღალდები, ქსელის მარშუტიზატორები და სხვა საჭირო მასალები და მოწყობილობები კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი კომპანიისგან, Smartmatic International Holding B.V-სგან შეიძინა.

კონსოლიდირებული ტენდერი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ იმ დოკუმენტაციისა და მოთხოვნების შესაბამისად ჩაატარა, რომელიც ცესკომ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ანალიზისა და 2018-2023 წლებში საპილოტე რეჟიმში ჩატარებული რვა შუალედური/რიგგარეშე არჩევნებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა.

კონსოლიდირებული ტენდერის პროცედურის შესაბამისად, ბაზრის კვლევის ინფორმაცია საკვალიფიკაციო და სავალდებულო პირობების შესახებ განთავსებული იყო ცესკოს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდებზე. ინფორმაცია მიეწოდა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ იმ საელჩოებს, რომლებთანაც საარჩევნო ადმინისტრაცია სამუშაო ჯგუფის ფორმატში თანამშრომლობდა.

ბაზრის კვლევაში მოწვეული 13 საერთაშორისო კომპანიიდან კონსოლიდირებულ ტენდერში შესაბამისი წინადადებები წარმოადგინა სამმა კომპანიამ. მათგან პირობები სრულად დააკმაყოფილა Smartmatic International Holding B.V-მა და მისმა სატენდერო წინადადებამ. შედეგად, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მასთან გააფორმა ხელშეკრულება.

2024 წლის პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად შეძენილი საარჩევნო ელექტრონული მოწყობილობებისთვის აუცილებელია შესაბამისად აღჭურვილი სასაწყობო ფართის მოწყობა, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს და პირობას, რაც აპარატების შენახვა/ექსპლუატაციისთვის არის საჭირო. აქედან გამომდინარე, დაიგეგმა ისეთი საწყობის მშენებლობა, რომლის ინფრასტრუქტურა სრულად იქნება მორგებული ბიზნეს პროცესზე, რაც ელექტრონული მოწყობილობებისა და საარჩევნო ინვენტარის მომზადებას, შეფუთვას და საარჩევნო კომისიებში ცენტრალიზებული წესით დისტრიბუციას მოიცავს. 2023 წელს განხორციელდა წინა მოსამზადებელი და სადემონტაჟო სამუშაოები. პროექტის თანახმად, საწყობის მშენებლობა დასრულდება 2024 წლის აგვისტოში.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების სიმცირით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ადაპტირებული შენობა-ნაგებობების სიმცირე.

გამოწვევები და რეკომენდაციები

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. თუმცა, როგორც 2023 წელს განხორციელებულმა მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, ზოგიერთი განხორციელებული აქტივობა არ იყო ასახული სამოქმედო გეგმაში, ხოლო ზოგი აქტივობის ინდიკატორი არ იყო გაზომვადი და ვერ მოხდა მათი განხორციელების ჯეროვნად შეფასება. აქედან გამომდინარე იქნა მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმების გამიჯვნის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, ამოცანების შესრულების პროცესი 2023 წელს არ შეფერხებულა, ხოლო 2024 წლის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია.

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი

იურიდიული დეპარტამენტი
გიორგი სანტურიანი, დეპარტამენტის უფროსი

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი
ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

საფინანსო დეპარტამენტი
ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
რუსუდან ლელაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი
სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი

ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი
თამარ ცერცვაძე, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი
ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)
ლალი კიკნაძე, აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი

პრეს-სპიკერი
ნათია იოსელიანი

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი
ლევან კახურაშვილი

სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

სტრატეგიული პრიორიტეტი		**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება**						
მიზანი 1		**საზოგადოების ინფორმირება და განათლება**						
ამოცანა 1.1		**საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
1.1.1.1	კომუნიკაციის სტრატეგიის განახლება	• სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა • კომუნიკაციის არხების რაოდენობა	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2023 I კვარტალი	განხორციელდა	100 %	ცესკოს 2023 წლის 25 აპრილის N124/2023 განკარგულებით დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის განახლებულია სტრატეგია. საარჩევნო ადმინისტრაციის საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზანია ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების, ასევე, საარჩევნო კულტურის განვითარების კუთხით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ: • ამომრჩევლები - აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები; • ჩართული მხარეები - პოლიტიკური პარტიები/საარჩევნო სუბიექტები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, ადგილობრივი და საერთაშორისო მედია, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციები; • საქართველოს ცენტრალური და რეგიონული საჯარო უწყებები. განისაზღვრა კომუნიკაციის არხები, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარი გზავნილების ეფექტურად გასავრცელებლად და ადრესატებამდე მისატანად იყენებს - ვებგვერდი, სოციალური მედია, კონტაქტ-ჰაბი, მედია, საჯარო ღონისძიებები, ბეჭდური მასალა, ასევე, ალტერნატიული საკომუნიკაციო არხები.	
1.1.1.2	თანამშრომლობის ფორმატების გაძლიერება პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან საარჩევნო საკითხების ექსპერტებთან და მედია ორგანიზაციებთან	• გამართული შეხვედრების და მონაწილეთა რაოდენობა • მონაწილეთა მიერ თანამშრომლობის ფორმატის შეფასება	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2023 IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	აქტივობის ფარგლებში საანგარიშო წელს ჩატარდა 15 შეხვედრა, მათ შორის: 6 შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, 5 შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან, 2 შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და 2 შეხვედრა ექსპერტებთან და ცნობილ სახეებთან. 2023 წლის 6-7 ნოემბერს ახალი ფორმატის ფარგლებში გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მედიის წარმომადგენლები პირადად გაეცნენ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ადმინისტრირებისთვის განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს, 2023 წლის პირველ ოქტომბერის ელექტრონული სამუალებების გამოყენებით გამართული შუალედური/რიგგარეშე არჩევნების და ამ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტის შედეგებს, საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგიას და საარჩევნო ელექტრონული აპარატურის მუშაობას. მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ კენჭისყრაში. შეხვედრა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით გაიმართა და მასში 25 პირი მონაწილეობდა, მათ შორის იყო 17 (68%) ქალი და 8 (32%) კაცი. 2023 წლის 27 ოქტომბერს ცესკოს თავმჯდომარემ არჩევნებში ჩართულ მხარეებს 1 ოქტომბერს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართული შუალედური/რიგგარეშე არჩევნების და აღნიშნულ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში გააცნო. ღონისძიება საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს პარტიების, ცესკოში შექმნილი ახალი სამუშაო ფორმატის წევრი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, საელჩოების, ექსპერტების და მედიის წარმომადგენლებმა. შეხვედრაში მონაწილეობდა 31 პირი, მათ შორის იყო 13 (42%) ქალი და 18 (58%) კაცი.	
ამოცანა 1.2		**ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
1.2.1.1	საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის განხორციელება	• საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია შექმნილია • გავრცელებული მასალების რაოდენობა (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის და შშმ პირებისთვის) • გავრცელების არხების რაოდენობა (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში)	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	განახლებული კონცეფციისა და მედია გეგმის შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა უზრუნველყო: • 300 პრესრელიზის მომზადება და ცესკოს ვებგვერდზე გავრცელება; • ცესკოს საქმიანობის, სხვადასხვა ღონისძიებისა და სიახლეების გაშუქება ადგილობრივ და რეგიონულ მედიაში; • ცესკოსა და სსკ-ების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობა სხვადასხვა მედიასაშუალების გადაცემებში. • ცესკოს თავმჯდომარის ვრცელი ინტერვიუს გავრცელება შესაბამის რეგიონულ მედიაში, კერძოდ 6 გაზეთსა და 3 ონლაინ გამოცემაში; • 30 ბრიფინგის ორგანიზება. ზემოაღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა ცესკოს ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. დეპარტამენტმა მოამზადა და ცენტრალურ და შესაბამის რეგიონულ ტელევიზიებში განათავსა 13 საინფორმაციო ვიდეორგოლი სხვადასხვა თემატიკაზე, კერძოდ: ცესკოს საარჩევნო სკოლა; ცესკოს საარჩევნო ბანაკები; საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სასერტიფიკაციო გამოცდები; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასერტიფიკაციო გამოცდები; 1 ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნები; საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობები; ხმის მიცემის პროცედურა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით; ხმის მიცემის პროცედურა ტრადიციული მეთოდით; ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება; ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დაწყება (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე). ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ვიდეორგოლი განთავსდა გორის, კასპისა და გურჯაანის იუსტიციის სახლებში. ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანით. ამავე მუნიციპალურ ერთეულებში განთავსდა გარე/ქუჩის საინფორმაციო ბანერები. ასევე, საინფორმაციო ბანერები განთავსდა საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე. მომზადდა და გავრცელდა შვიდი საინფორმაციო ფლაერი როგორც 1 ოქტომბრის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებთან, ისე 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ყველა საინფორმაციო ფლაერი აღჭურვილი იყო QR კოდით, რომლის საშუალებითაც უსინათლო პირებს ინფორმაციის მიღება ხმოვან ფორმატში, ხოლო ყრუ პირებს – ჟესტურ ენაზე შეეძლოთ. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ამომრჩეველის ბარათთან ერთად, გავრცელდა საინფორმაციო ფლაერი – ხმის მიცემის პროცედურების, ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. გავრცელდა ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში. 133-ვე საარჩევნო უბანზე განთავსებული იყო ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი. დეპარტამენტმა მოამზადა საინფორმაციო ვიდეორგოლი საარჩევნო ტექნოლოგიების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიასთან დაკავშირებით (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე), ასევე, ვიდეორგოლები - საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობები და ხმის მიცემის პროცედურა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. ვიდეორგოლები განთავსდა ცენტრალურ და შესაბამის რეგიონულ ტელევიზიებში, ასევე კინოთეატრებსა და იუსტიციის სახლებში. საინფორმაციო შეხვედრების მიმდინარეობისას გავრცელდა ფლაერი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო ფლაერი აღჭურვილი იყო QR კოდით, რომლის საშუალებითაც უსინათლო პირებს ინფორმაციის მიღება ხმოვან ფორმატში, ხოლო ყრუ პირებს – ჟესტურ ენაზე შეეძლოთ. ყველა საინფორმაციო მასალა ასევე გავრცელდა როგორც ცესკოს ვებგვერდის, ისე ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის სოციალური ქსელების საშუალებით.	

1.2.1.2	საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ კამპანიური ხასიათის საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება	• საინფორმაციო ღონისძიების გეგმა შექმნილია • ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა 73 საოლქო საარჩევნო კომისიებისა და სამიზნე ჯგუფების მიხედვით (მათ შორის ეთნიკური უმცირესობები, შშმ პირები)	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2023 II,III კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	90 %	ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში, საინფორმაციო ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით 1 708 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც ინფორმაცია 149 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო. ელექტრონული აპარატების მუშაობის დემონსტრირება ეტაპობრივად იმართებოდა ქვეყნის მასშტაბით ხალხმრავალ ადგილებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში – 8 აქცია) - იუსტიციის სახლებში, მომსახურების სააგენტოს ფილიალებში, მეტროსადგურებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საჯარო და კერძო უწყებებში, ხალხმრავალ დღესასწაულებზე. მოქალაქეებს პირადად ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ და პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. მოქალაქეების ინფორმირებისთვის მოეწყო იმიტირებული კენჭისყრა საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები გააცნეს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ეგიდით გამართული, შორისა და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკების მონაწილე, 18-25 წლის 1400 ახალგაზრდას. მათ მიიღეს ინფორმაცია არჩევნების მოდერნიზების მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის უპირატესობების შესახებ. 2023 წლის 10 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარე ბათუმში გამართული ახალგაზრდული კონგრესის 400-მდე მონაწილეს ესაუბრა საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე. გაიმართა იმიტირებული არჩევნები და მონაწილეებმა თავად გამოცადეს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიები. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა უზრუნველყო ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიების გაშუქება ცენტრალურ და რეგიონულ მედიაში. შესაბამისი პრესრელიზები და ფოტო-ვიდეო მასალა განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში.	
1.2.1.3	საარჩევნო ტექნოლოგიების სიახლეებზე ახალგაზრდებთან საინფორმაციო კურსის განხორციელება	• ჩატარებული საინფორმაციო კურსების რაოდენობა • მონაწილეთა რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 II,III კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის 29-30 ივნისს სწავლების ცენტრმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ (უსკო), საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერით, ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან. შეხვედრა გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“. ღონისძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით განხორციელდა. საინფორმაციო შეხვედრა მიზნად ისახავდა არჩევნების მნიშვნელობაზე მსჯელობასა და მასწავლებლებისთვის საარჩევნო რეფორმის სიახლეების გაზიარებას, შემდგომში სკოლის მოსწავლეების ინფორმირების მიზნით. სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა პედაგოგებს გააცნეს შემდეგი საკითხები: ადამიანის უფლებათა არსი და საარჩევნო უფლების მნიშვნელოვანი ადგილი მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების სპექტრში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატი და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები, არჩევნებში ჩართული მხარეები, საქართველოში მიმდინარე საარჩევნო რეფორმა ტექნოლოგიურ სიახლეებთან მიმართებით. არჩევნებში ელექტრონული აპარატების გამოყენების პრაქტიკული ასპექტების გაცნობის მიზნით, სწავლების ცენტრმა ღონისძიებაზე დამსწრე პედაგოგების მონაწილეობით გამართა იმიტირებული კენჭისყრის პროცესი. ევროპის საბჭოს ექსპერტმა არდიტა დრიზა მაიერმა მასწავლებლებს მიაწოდა ინფორმაცია არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ევროპულ პრაქტიკასა და ევროპის საბჭოს სამართლებრივ და პოლიტიკის ინსტრუმენტებზე. შეხვედრას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების 25 მასწავლებელი, მათ შორის იყო 19 (76%) ქალი და 6 (24%) კაცი.	
1.2.1.4	სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის შექმნა	• კონცეფცია და ტექნიკური დავალება შექმნილია • პროგრამა შექმნილია და ტესტირებულია • პროგრამის შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია • პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა	სამუშაო ჯგუფი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ რესურსის (თამაშის) კონცეფციის შექმნისა და ტექნიკური დავალების მომზადების შემდეგ, კონტრაქტორმა კომპანიამ შექმნა პროგრამა, რომელიც გაიტესტა როგორც შემქმნელი კომპანიის, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ. პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის ჩატარდა კამპანია სოციალურ ქსელში. ინტერნეტ თამაშის სატესტო ვერსია განთავსდა საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდის მთავარ გვერდზე, ბმულზე: https://game.cec.gov.ge/ 2023 წელს ამ შესაძლებლობით ცესკოს ვებგვერდის მომხმარებლებმა 3 512-ჯერ ისარგებლეს.	
1.2.1.5	საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგი, დეზინფორმაციაზე და ყალბ სიახლეებზე რეაგირება	• თემატური მოკვლევის ანგარიში გამოქვეყნებულია	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2023 IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა უზრუნველყო: • საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ მედიაში გავრცელებული 922 ინფორმაციის დამუშავება; • უწყების წინაღმდეგ გავრცელებული 157 ინფორმაციის გამოვლენა (მათ შორის იყო 74 იმიჯის შემლახავი და 29 მანიპულაციური ინფორმაცია, ასევე, 54 დეზინფორმაცია); • მომზადდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 3 ანგარიში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტელეკომპანია „ფორმულას“ საინფორმაციო გამომშვებაში წამყვანის მიერ ინფორმაციის სიზუსტის პრინციპის დარღვევის თაობაზე მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. სადავო ჟურნალისტური პროდუქტი ტელეკომპანიის ეთერში გავიდა 2023 წლის 27 ოქტომბერს და 1 ოქტომბერს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართული შუალედური/რიგგარეშე არჩევნების და აღნიშნულ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის პრეზენტაციას ეხებოდა. ქარტიის საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტმა დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი. ამავე საქმის ფარგლებში, ასევე, დადგინდა შესწორების (მეხუთე) პრინციპის დარღვევა.	

ამოცანა 1.3		ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება						
N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი
1.3.1.1	საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელება	• საჯარო სკოლების რაოდენობა • განხორციელების არეალი • მონაწილეთა რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საჯარო სკოლებში განახლებული კონცეფციით განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. XI-XII კლასის მოსწავლეები ორ დღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში გაეცნენ შემდეგ მოდულებს: პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან თანამედროვე მოდერნიზებულ არჩევნებამდე; საარჩევნო ადმინისტრაცია - არჩევნების მართვის ორგანო; არჩევნები და დემოკრატია; არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები. განხილულ იქნა ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გამოყენების წესი და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა. თეორიულ საკითხებთან ერთად მოსწავლეებმა გაიარეს პრაქტიკული სწავლება. გაიმართა ხმის მიცემის იმიტირებული პროცესები. პროგრამისთვის გადამზადდა საარჩევნო ადმინისტრაციის 109 ტრენერი, მათ შორის იყო 71 (65%) ქალი და 38 (35%). სასწავლო პროგრამა გაიარა 64 მუნიციპალიტეტში განლაგებული 315 საჯარო სკოლის 6597-მა მოსწავლემ, მათ შორის იყო 3951 (60%) ქალი და 2646 (40%) კაცი. მათგან კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა) განლაგებული 45 საჯარო სკოლის 893-მა მოსწავლემ, მათ შორის იყო 552 (62 %) ქალი და 341 (38 %)კაცი. მოსწავლეებმა სასწავლო კურსი პოზიტიურად შეაფასეს.	
1.3.1.2	უნივერსიტეტებში სემესტრული სასწავლო პროგრამის „საარჩევნო სამართალი“ განხორციელება	• უნივერსიტეტების რაოდენობა • განხორციელების არეალი • მონაწილეთა რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 I-III კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის 20 თებერვალი-3 ივლისის პერიოდში (გაზაფხულის სემესტრი), სწავლების ცენტრმა საქართველოს 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან განახორციელა საავტორო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში. იურიდიული, სოციალურ მეცნიერებათა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სპეციალობა-ფაკულტეტებზე ჩატარებული ლექციებისა და სემინარების ფარგლებში ეროვნული ინფორმაციის ბაზა „ეროვნული ინფორმაციული ბანკი“ - ეროვნული ინფორმაციული ბანკის ფუნქციონირებისა და ინფორმაციული ბაზის ადმინისტრირების ფარგლებში ეროვნული ინფორმაციული ბანკის ადმინისტრირების

1.3.1.5	სასწავლო პროგრამების „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკების“ განხორციელება	• კონცეფცია განახლებულია • მონაწილეთა რაოდენობა	სამუშაო ჯგუფი	2023 III კვარტალი	განხორციელდა	100 %	ცესკოს თავმჯდომარის 2023 წლის 21 თებერვლის N01-25 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამების „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკები“ და „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა განაახლა „საარჩევნო განვითარების სკოლის“ კონცეფცია, შეიმუშავა დეტალური გეგმა, განსაზღვრა პროექტის მიზნები, შეფასებისა და მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები. განახლებული კონცეფციის შესაბამისად, პროექტის „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკები“ მიზანი იყო მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო სიახლეების და ტექნოლოგიების შესახებ, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პოტენციური საკადრო რესურსის ფორმირება. 17-25 ივლისის პერიოდში განხორციელდა პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია. 18-45 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ როგორც შესაბამის სსკ-ში მატერიალური განცხადების წარდგენით, ისე ელექტრონული პლატფორმის konkursi.cec.gov.ge -ს საშუალებით დარეგისტრირების შესაძლებლობა. პროექტში მონაწილეობის მიზნით დარეგისტრირდა 1 413 კონკურსანტი, მათ შორის იყო 927 (66%) ქალი, 486 (34%) კაცი. ჯგუფების დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო გენდერული ბალანსი. 27 ივლისს ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და გადამზადდა 9 ტრენერი, მათ შორის იყო 4 ქალი (44%) და 5 (56%) კაცი. 5-25 აგვისტოს პერიოდში, დაბა ბაკურიანში, სასტუმრო „ბაკურიანი ინნ“-ში განხორციელდა სასწავლო კურსი, რომელიც გაიარა 491-მა მონაწილემ, მათ შორის იყო 314 (64%) ქალი და 177 (36%) კაცი.	

მიზანი 2		**სამართალწარმოების პროცესის განვითარება**						
ამოცანა 2.1		**საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
2.1.1.1	საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება	• შესწავლილი სამართლებრივი აქტების რაოდენობა • რეკომენდაციების დოკუმენტი მომზადებულია	იურიდიული დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	არ დაწყებულა	0 %	2023 წლის 29 აპრილს გამართული რიგგარეშე/შუალედური არჩევნების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2 საჩივარი. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელების და რეკომენდაციების შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.	
2.1.1.2	არჩევნების დროს ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზი	• სტატისტიკა დამუშავებული და გამოქვეყნებულია • საჩივრების სამართლებრივი ანალიზის დოკუმენტი შექმნილია	იურიდიული დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	არ დაწყებულა	0 %	2023 წლის 29 აპრილს გამართული რიგგარეშე/შუალედური არჩევნების ფარგლებში ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2 საჩივარი. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზის ჩატარების საჭიროება არ დამდგარა.	
ამოცანა 2.2		**სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
2.2.1.1	ნორმატიულ აქტებში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით წინადადების მომზადება	მომზადებული წინადადებების რაოდენობა	იურიდიული დეპარტამენტი	2023 I, II კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის ოქტომბრის თვეში გასამართი რიგგარეშე/შუალედური არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, დეპარტამენტმა მოამზადა 3 დადგენილების პროექტი ცესკოს სხდომაზე განსახილველად.	
სტრატეგიული პრიორიტეტი		**ინსტიტუციური გაძლიერება**						
მიზანი 3		**მართვის ეფექტიანობის ზრდა**						
ამოცანა 3.1		**მართვის ხარისხის გაუმჯობესება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
3.1.1.1	ინსტიტუციური ანალიზის განხორციელება	• ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებულია • ცესკოს აპარატის სამუშაოს ეფექტიანობის ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარდგენილია • ISO ხარისხის სერტიფიკატი განახლებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I -IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული შიდა და გარე აუდიტების შედეგად, დადებითად შეფასდა ადმინისტრაციის საქმიანობა, რის საფუძველზეც განახლდა ISO ხარისხის სერტიფიკატი.	
3.1.1.2	ცესკოს აპარატის საქმიანობის ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია	• ცესკოს აპარატის საქმიანობის ბიზნეს პროცესები განახლებულია • ბიზნეს პროცესები შესაბამისობაშია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებთან	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I -IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	განახლდა ცესკოს აპარატის ყველა დეპარტამენტის საქმიანობის ბიზნეს პროცესების ამსახველი დოკუმენტები. შედეგად, ბიზნეს პროცესები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებთან.	
3.1.1.3	მართვის სახელმძღვანელო სტანდარტის შექმნა	• მართვის სახელმძღვანელო პრინციპების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტი შედგენილია • მართვის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრები გამართულია • თანამშრომლთა უმეტესობის მიერ მართვის ინსტრუმენტები დადებითად შეფასებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I -IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	80 %	მართვის გაუმჯობესების მიზნით ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის და ხელმძღვანელი პირებისთვის განხორციელდა შემდეგი სამუშაო შეხვედრები: • ცესკოს აპარატის თანამშრომლების საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებზე - აპარატის 118 თანამშრომლისა და 22 ხელმძღვანელისთვის, მათ შორის იყო 81 (58%) ქალი და 59 (42 %) კაცი. • ცესკოს აპარატის თანამშრომლების საქმიანობების განხორციელების პროცესში კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდის საკითხებზე აპარატის 89 თანამშრომლისა და 22 ხელმძღვანელისთვის, მათ შორის იყო 62 (69%) ქალი და 49 (31%) კაცი. " მოტივაციის არსი და მნიშვნელობა" - ცესკოს აპარატის 105 თანამშრომლისთვის, მათ შორის იყო 58 (55%) ქალი და 47 (45%) კაცი. • „მოტივაცია, როგორც მართვის ინსტრუმენტი“ - ცესკოს სტრუქტურული ერთეულების 34 ხელმძღვანელი პირისთვის (დეპარტამენტის უფროსი, განყოფილების უფროსი, მენეჯერი), მათ შორის იყო 14 (41%) ქალი და 20 (59%) კაცი. ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, თანამშრომლებმა უშუალო ხელმძღვანელის მიერ გამოყენებული მართვის ინსტრუმენტები შეაფასეს დადებითად. ასევე, მართვის ინსტრუმენტები დადებითად შეაფასეს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელმა პირებმა. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების, ასევე, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა 3 სამუშაო შეხვედრა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებს დაესწრო 41 მონაწილე, მათ შორის იყო 16 (39%) ქალი და 25 (61 %) კაცი.	

3.1.1.4	ცესკოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების სისტემის გაუმჯობესება	• ფუნქციების მნიშვნელობის შესაბამისი შეფასების შეწონილი ქულათა სისტემა შექმნილია • შეფასების ფორმები განახლებულია • თვითშეფასებისა და ორმხრივი შეფასების სისტემის პილოტირება განხორციელებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	60 %	თანამშრომელთა შეფასების სისტემის მოდიფიკაციის ფარგლებში, განხორციელდა არსებული შეფასების სისტემის ანალიზი. ფუნქციების მნიშვნელობის შესაბამისი შეფასების ქულათა სისტემის შემუშავების მიზნით, თანამშრომლებმა თავად შეაფასეს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, თითოეული ფუნქციისთვის საჭირო კომპეტენციები/უნარები (პიროვნული უნარ-ჩვევები, ტექნიკური უნარ-ჩვევები და სხვა), საქმიანობების სიხშირე და პერიოდი, რის შემდეგაც დეპარტამენტმა განახორციელა ფუნქციური კომპეტენციებისა და სამუშაო აღწერილობების შედარებითი ანალიზი. შეფასების ფორმების განახლება დაგეგმილია 2024 წელს, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით.	
3.1.1.5	შიდა კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება	• შიდა კომუნიკაციის გეგმა შემუშავებულია • თანამშრომელთა უმეტესობის მიერ შიდა კომუნიკაციის გეგმით გათვალისწინებული ინსტრუმენტები დადებითად შეფასებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	შეჩერებულია	20 %	საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით განახლდა ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელის - HR პორტალის კონცეფცია, თუმცა, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი რესურსების მოძიების საჭიროების გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება გადაიდო 2024 წლისთვის.	
3.1.1.6	ორგანიზაციული კულტურის გაძლიერება	• საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ორგანიზაციული კულტურის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია • არაფორმალური ურთიერთობების განვითარების, გუნდის შეჭიდულობის ხელშეწყობი ღონისძიებები განხორციელებულია • თანამშრომლების ცნობიერება საერთო ღირებულებებისა და მორალური პრინციპების მიმართულებით ამაღლებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	ორგანიზაციული კულტურის შესახებ თანამშრომელთა ინფორმირების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ცესკოს აპარატში ახლადდანიშნულ და საოლქო საარჩევნო კომისიებში აირჩეულ წევრებთან. შეხვედრას დაესწრო ცესკოს აპარატიდან 45 თანამშრომელი და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან 11 წევრი. ორგანიზაციული კულტურის გაძლიერების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის და ხელმძღვანელი პირებისთვის. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებს დაესწრო 174 თანამშრომელი, მათ შორის იყო 94 (54 %) ქალი და 80 (46 %) კაცი. ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელდა სისხლის დონაციის აქცია სამედიცინო დაწესებულებასთან ,,სისხლის ცენტრი" თანამშრომლობით. შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 9 თანამშრომელმა, მათ შორის იყო 5 ქალი (56%) და 4(44%) კაცი. ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელდა საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებშიც სათნოების სახლის ,,კათარზისი" ბენეფიციარებს გადაეცათ საახალწლო ნობათი. გუნდური შეჭიდულობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ექსკურსიები კახეთის რეგიონსა და ძამას ხეობაში.	
3.1.1.7	კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება	• სამუშაო პროცესებში რისკები და კრიზისები იდენტიფიცირებულია • კრიზისული პროცესების მართვის გეგმა შემუშავებულია • პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	სამუშაო პროცესში რისკებისა და კრიზისების იდენტიფიცირების მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები საარჩევნო პროცესების მართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების, ცესკოს მდივნის აპარატის (დეპარტამენტი) და იურიდიული დეპარტამენტების წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიმართულებების საფუძველზე შეიქმნა კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმა და შემუშავდა რისკების მართვის დოკუმენტი. შეხვედრებში მონაწილე 4-ივე დეპარტამენტი განისაზღვრა პროცესების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად.	
3.1.1.8	ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული სწავლებების მონიტორინგის სისტემის დანერგვა/განვითარება	• მონიტორინგის ინსტრუმენტები განახლებულია • მონიტორინგი განხორციელებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	ცესკოს თავმჯდომარის N01-19 ბრძანებით დამტკიცდა "სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი"; ცესკოს თავმჯდომარის N01-20 ბრძანებით დამტკიცდა "სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი წესი". სწავლების მიზნებიდან და ფორმატიდან გამომდინარე, შემუშავდა მონიტორინგის და შეფასების განხორციელებისათვის შესაბამისი ფორმები და მიზანმიმართული, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარების მეთოდები. სწავლების ცენტრის მიერ მოწოდებული სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, განისაზღვრა პრიორიტეტები და შემუშავდა მონიტორინგის განხორციელების წლიური გეგმა. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, სწავლების მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო მასალები და განახორციელა შემდეგი 4 სასწავლო პროგრამის მონიტორინგი: * საარჩევნო ადმინისტრატორის ტრენერთა ტრენინგი; * საარჩევნო ადმინისტრატორის მოსამზადებელი კურსები; * საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენერთა ტრენინგი; * საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები. განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე, მომზადდა შესაბამისი ანგარიშები და დადგენილი წესით წარედგინა ხელმძღვანელობას.	
3.1.1.9	შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულება	• შრომის უსაფრთხოების რისკების დოკუმენტები განახლებულია • ცესკოსა და სსკ-ებში აღმოფხვრილი ხარვეზების რაოდენობა • პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი ჩატარებულია	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული და სხვა პირებისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა ცესკოს ადმინისტრაციული შენობისა და 36 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა-ნაგებობების ინსპექტირება, შედგა შესაბამისი ინსპექტირების ოქმები. ინსპექტირების პროცესში იდენტიფიცირებული საფრთხეების ანალიზი, შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებები აისახა რისკების შეფასების დოკუმენტებში, სადაც გაანალიზებული და შეფასებულია, რა რისკის ქვეშ შეიძლება დააყენოს სამუშაო სივრცეში არსებულმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა სამუშაო სივრცეში მყოფი ნებისმიერი პირი. ზოგადი უსაფრთხოების არსებული რეგულაციების შესაბამისად, შეძენილ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ინვენტარი, რომელიც განთავსდა შესაბამის ადგილებში. საფინანსო დეპარტამენტთან ერთად განხორციელდა ცესკოს შენობაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სტენდის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით, ასევე გამაფრთხილებელი ნიშნებითა და სხვა საჭირო ინვენტარით შევსება. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე, ცესკოს თავმჯდომარის სამართლებრივ აქტებში შევიდა ცვლილებები, ასევე, დაწესდა ახალი რეგულაციები. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა ცესკოსა და სსკ-ების თანამშრომლებიდან სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. ცესკოს/სსკ-ების წარმომადგენლებისთვის მომზადდა პირველადი დახმარებისა და სახანძრო უსაფრთხოების ცეცხლმაქრების გამოყენების ტრენინგების გრაფიკი. განხორციელდა ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისათვის პირველადი დახმარების ტრენინგისა და სახანძრო უსაფრთხოების/ ცეცხლმაქრების გამოყენების ტრენინგების დაგეგმვა/ მომზადება/ჩატარება. ტრენინგი გაიარა საარჩევნო ადმინისტრაციის 138-მა თანამშრომელმა, მათ შორის იყო 74 (54%) ქალი და 64 (46%) კაცი.	

3.1.1.10	ცესკოს არქივში დაცული დოკუმენტაციის ეროვნული არქივისთვის გადაცემა	• ცესკოს არქივში დაცული 1991-2012 წწ. დოკუმენტები აღწერილია და ეროვნული არქივისთვის გადაცემულია	ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)	2023 I-IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	90 %	ცესკოსა და სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს შორის გაფორმებული საარქივო მომსახურების გაწევის ხელშეკრულების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, დასრულდა ცესკოს არქივში დაცული 1991-2010 წლების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მმართველობითი და პირადი წარმოშობის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური შემფასებელი ექსპერტიზა და კანონმდებლობით დადგენილი წესით დოკუმენტების საქმეებად შეკერვა. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგად, შედგენილი იქნა საქმეთა 6 ანაწერი, მათ შორის: * მუდმივად შესანახ საქმეთა №1 ანაწერი - 351 შესანახ ერთეულზე; * ხანგრძლივად შესანახი პირადი შემადგენლობის საქმეთა №2 ანაწერი - 289 შესანახ ერთეულზე; * პირად საქმეთა №3 ანაწერი - 170 შესანახ ერთეულზე (სულ 1082 პირადი საქმე); * №4 ანაწერი - 115 ხანგრძლივად შესანახ საქმეზე; * დამატებითი ანაწერი №1 – 67 საქმეზე და დამატებითი ანაწერი №2 - ხანგრძლივად შესანახ 11 ერთეულზე. ექსპერტიზის შედეგად, შედგა აქტი იმ დოკუმენტებისა და საქმეების განსანადგურებლად გამოყოფის შესახებ, რომლებსაც გაუვიდათ შენახვის დადგენილი ვადები, არ გააჩნიათ სამეცნიერო-ისტორიული ღირებულება და დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა. სულ განსანადგურებლად გამოყოფილია 2018 წლამდე არსებული 7231 საქმე. ცესკოს მდივნის აპარატმა 2023 წლის 7 დეკემბერს ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსახილველად წარუდგინა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების შესახებ ინფორმაცია. საქმეთა ანაწერები და მაკულატურის აქტები შეთანხმდა როგორც ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიასთან, ასევე სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან. საქმეთა ანაწერები/აღწერები და განადგურების აქტები, 2023 წლის 26 დეკემბერს, დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ. მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერების პროექტების განხილვა, საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დასამტკიცებლად და შესათანხმებლად წარდგენა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების შესახებ ინფორმაცია. საქმეთა ანაწერები და მაკულატურის აქტები შეთანხმდა როგორც ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიასთან, ასევე სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან. საქმეთა ანაწერები/აღწერები და განადგურების აქტები, 2023 წლის 26 დეკემბერს, დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ. ცესკოს მდივნის აპარატმა 2023 წლის 7 დეკემბერს ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსახილველად წარუდგინა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების შესახებ ინფორმაცია. საქმეთა ანაწერები და მაკულატურის აქტები შეთანხმდა როგორც ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიასთან, ასევე სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან. საქმეთა ანაწერები/აღწერები და განადგურების აქტები, 2023 წლის 26 დეკემბერს, დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ. ცესკოს მდივნის აპარატმა 2023 წლის 7 დეკემბერს ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსახილველად წარუდგინა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების შესახებ ინფორმაცია. საქმეთა ანაწერები და მაკულატურის აქტები შეთანხმდა როგორც ცესკოს მუდმივმოქმედ ცენტრალურ საექსპერტო კომისიასთან, ასევე სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან. საქმეთა ანაწერები/აღწერები და განადგურების აქტები, 2023 წლის 26 დეკემბერს, დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ. მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერების პროექტების განხილვა, საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დასამტკიცებლად და შესათანხმებლად წარდგენა და სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის 1991-2010 წლების დოკუმენტების სახელმწიფო შესანახად გადაცემა დაგეგმილია მომდევნო საანგარიშო პერიოდში, ვინაიდან სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო შესანახად მიღება ხდება კალენდარული წლის დასრულების შემდეგ.	
3.1.1.11	საქმისწარმოების პროცესის სტანდარტიზაცია	• საქმისწარმოების წესი განახლებულია • ცესკოს სტრუქტურული ერთეულებში პასუხისმგებელი თანამშრომლები გადამზადებულია • ცესკოს სტრუქტურული ერთეულებიდან საარქივო დოკუმენტაცია დადგენილი წესით გადმოცემულია • ცესკოს კორესპონდენციის შაბლონები შექმნილი და საქმისწარმოების პროგრამაში ინტეგრირებულია	ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საქმისწარმოების პროცესის სტანდარტიზაციის მიზნით, ცესკოს მდივნის აპარატმა განაახლა "საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების წესი", სადაც განისაზღვრა საარქივო დოკუმენტების ფორმირების/სისტემატიზაციისა და არქივში ჩაბარების წესი, ამასთანავე, დეტალურად გაიწერა ელექტრონულად შესანახი დოკუმენტების შენახვის/დაარქივების წესი. შექმნა ცესკოს კორესპონდენციის შაბლონები და განახორციელა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში მათი ინტეგრირება. ასევე, მომზადდა შვებულების, საავადმყოფო ფურცლის წარმოდგენის, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის/გათავისუფლების შესახებ განცხადებების, Day off-ის ახსნა-განმარტებითი ბარათების, ინფორმაციულ აქტივზე წვდომის/გაუქმების შესახებ განმარტებითი ბარათებისა და თანამშრომლის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ მოხსენებითი ბარათის შაბლონები. ყველა შაბლონი ინტეგრირებულია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument). ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებში პასუხისმგებელი თანამშრომლების გადამზადების მიზნით, ცესკოს მდივნის აპარატმა შეიმუშავა სახელმძღვანელო ინსტრუქცია საარქივო დოკუმენტაციის ფორმირების/სისტემატიზაციისა და არქივში ჩაბარების წესის შესახებ. 2023 წლის 9 ნოემბერს დეპარტამენტმა ჩაატარა ტრენინგი/სწავლება საარქივო საქმისწარმოების შესახებ ცესკოს სტრუქტურული ერთეულების მიერ გამოყოფილი 25 პასუხისმგებელი თანამშრომლისთვის, მათ შორის იყო 16 (64%) ქალი და 9 (36 %) კაცი. ცესკოს სტრუქტურული ერთეულების მიერ საარქივო დოკუმენტაციის ნაწილი დადგენილი წესით უკვე გადმოცემულია, ხოლო ნაწილის გადმოცემა დაგეგმილია 2024 წლის იანვრის თვეში.	
ამოცანა 3.2		**მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
3.2.1.1	დაგეგმვის და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა	• კონცეფცია შემუშავებულია • ტექნიკური დავალება შემუშავებულია • პროგრამის პილოტირება განხორციელებულია	სტრატეგიული დაგეგმვის და ანგარიშგების დეპარტამენტი	2023 III-IV კვარტალი	გაუქმებულია	50 %	დეპარტამენტის მიერ შემუშავდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის კონცეფცია, სადაც განისაზღვრა პროგრამის სტრუქტურა და ფუნქციონალური მოდულები. კონცეფცია წარედგინა საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.	
3.2.1.2	გენდერული პორტალის განვითარება	• ტექნიკური დავალება შემუშავებულია • პროგრამა პილოტირებულია	სტრატეგიული დაგეგმვის და ანგარიშგების დეპარტამენტი	2023 III-IV კვარტალი	გაუქმებულია	50 %	ჩამოყალიბდა გენდერული პორტალის ტექნიკური დავალება, შეთანხმდა საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან და გადაეგზავნა დონორ ორგანიზაციას.	
მიზანი 4		**საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება**						
ამოცანა 4.1		**ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება**						
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
4.1.1.1	ცესკოს აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	• ტრენინგის გეგმა შემუშავებულია • დაგეგმილი და ჩატარებული ტრენინგების/მონაწილეების რაოდენობათა თანაფარდობა	ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	ცესკოს თავმჯდომარის №01-35 ბრძანებით დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2023 წლის გეგმა. გეგმის შესაბამისად დაგეგმილი 4 ტრენინგიდან (მათ შორის იყო 3 მნიშვნელოვანი და 1 სასურველი) ჩატარდა 3 ტრენინგი: • ლოგისტიკის პროცესების მართვის ტრენინგი ჩაუტარდა 4 პირს, მათ შორის იყო 4 (100%) კაცი და 0 (%) ქალი; • სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)დაფინანსებით, 2023 წლის 8-9 და 13-14 ივნისს ჩატარდა ტრენინგები თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები". ტრენინგი გაიარა 45-მა თანამშრომელმა, მათ შორის, იყო 33 (73%) ქალი და 12 (27%) კაცი. • საბაზრისო პროგრამა მოხელის პროფესიული განვითარებისთვის გაიარა 6-მა თანამშრომელმა, მათ შორის იყო 3 (50%) ქალი და 3 (50%) კაცი.	
4.1.1.2	საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა პროფესიული და ზოგადი უნარების ასამაღლებელი ტრენინგების განხორციელება	• ტრენინგის გეგმა შემუშავებულია • დაგეგმილი და ჩატარებული ტრენინგების/მონაწილეების რაოდენობათა თანაფარდობა	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 I-II კვარტალი	განხორციელდა	100 %	შემუშავდა ტრენინგების გეგმა და შეიქმნა შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციები. აღნიშნული ინსტრუქციების შესაბამისად, 2023 წლის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის გადამზადდა 10 სსკ-ს 20 ხელმძღვანელი პირი, მათ შორის 15 (75%) ქალი და 5 (25%) კაცი.	

4.1.1.3	საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგების ჩატარება	• ტრენინგის გეგმა შემუშავებულია • დაგეგმილი და ჩატარებული ტრენინგების/მონაწილეების რაოდენობათა თანაფარდობა	სწავლების ცენტრი	2023 I კვარტალი	განხორციელდა	100 %	სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად: **2023 წლის 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის** სსკ-ების წევრებმა გაიარეს ინტენსიური გადამზადება პროფილური სასწავლო პროგრამის მიხედვით. ტრენინგების ჩატარება უზრუნველი სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 65-მა ტრენერმა, მათ შორის იყო 40 (62%) ქალი და 25 (38%) კაცი. • 117 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ტრენინგები გაიარეს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის წარმართვის პროცედურებთან დაკავშირებით (სამი ეტაპი); სატრენინგო პროგრამა ყველა ეტაპზე ითვალისწინებდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების მუშაობის მოდელირებას და კომისიის წევრთა სინქრონულ სწავლებას. სულ ჩატარდა 206 სატრენინგო სესია; ტრენინგის I ეტაპს დაესწრო 335 წევრი, მათ შორის 258 (77%) ქალი და 77 (23%) კაცი. ტრენინგის II ეტაპს დაესწრო 1 117 წევრი, მათ შორის 894 (80%) ქალი და 223 (20%) კაცი. ტრენინგის დამატებით ეტაპს დაესწრო 138 (31%) წევრი, მათ შორის 104 (75%) ქალი და 34 (25%) კაცი. ტრენინგის შემაჯამებელ, III ეტაპს დაესწრო 331 წევრი, მათ შორის 254 (77%) ქალი და 77 (23%) კაცი. • 47 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ინსტრუქტაჟი მიიღეს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის განხორციელების რეგულაციებზე (სამი ეტაპი) - ჩატარდა 78 სატრენინგო სესია. ტრენინგის I ეტაპს დაესწრო 109 წევრი, მათ შორის 76 (70%) ქალი და 33 (30%) კაცი. ტრენინგის II ეტაპს დაესწრო 355 წევრი, მათ შორის 252 (71%) ქალი და 103 (29%) კაცი; ტრენინგის დამატებით ეტაპს დაესწრო 70 წევრი, მათ შორის 38 (54%) ქალი და 32 (46%) კაცი. ტრენინგის შემაჯამებელ, III ეტაპს დაესწრო 111 წევრი, მათ შორის 80 (72%) ქალი და 31 (28%) კაცი. • სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა გადამზადება გაიარეს შესაბამის პროცედურულ საკითხებზე (ერთი ეტაპი); ტრენინგს დაესწრო 11 წევრი, მათ შორის 9 (82%) ქალი და 2 (18%) კაცი. 18-22 აპრილის პერიოდში, სწავლების ცენტრმა 10-ვე სსკ-ს წევრებს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე გაიმართა შუალედური/რიგგარეშე არჩევნები, დეტალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარა სსკ-ს მანდატის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობებისა და კენჭისყრის პროცესში გამოსაყენებელი ელექტრონული აპარატების ფუნქციონირების წესზე. ტექნოლოგიურ სიახლეებზე საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, გაიმართა 63 სსკ-ის წევრებთან (27 მარტი-7 აპრილი). **2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედური და რიგგარეშე არჩევნებისთვის:** • 103 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ტრენინგები გაიარეს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის წარმართვის პროცედურებთან დაკავშირებით (ოთხი ეტაპი); • 30 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა დეტალური ინსტრუქტაჟი მიიღეს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის განხორციელების რეგულაციებზე (ოთხი ეტაპი). სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 40 ტრენერმა ჯამურად უზრუნველყო 387 სატრენინგო სესიის ჩატარება, მათ შორის: • 303 სატრენინგო სესია - საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართება; • 84 სატრენინგო სესია - საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე ჩატარდება. I ეტაპი - განკუთვნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის; იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა დასასწრები 306 ხელმძღვანელი პირიდან ტრენინგს დაესწრო 274 (90%), მათ შორის, 249 (91%) ქალი და 25 (9%) კაცი. იმ უბნებზე სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა დასასწრები 89 ხელმძღვანელი პირიდან ტრენინგს დაესწრო 75 (84%) პირი, მათ შორის 62 (83%) ქალი და 13 (17%) კაცი. II ეტაპი - განკუთვნილი საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრებისთვის; იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის (პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები), სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა, დასასწრები 794 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 402 (51%) პირი, მათ შორის, 346 (86%) ქალი და 56 (14%) კაცი. ხოლო იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის (კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები), სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა, დასასწრები 228 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 97 (43%) პირი, მათ შორის, 80 (82%) ქალი და 17 (18%) კაცი. იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის (სს-ების მიერ არჩეული წევრები), სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა, დასასწრები 514 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 424 (82%) პირი, მათ შორის 392 (92%) ქალი და 32 (8%) კაცი. იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის (სსკ-ების მიერ არჩეული წევრები), სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა, დასასწრები 150 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 111 (74%) პირი, მათ შორის 98 (88%) ქალი და 13 (12%) კაცი. დამატებითი ეტაპი - განკუთვნილი საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისა და იმ წევრებისთვის, ვინც ვერ დაესწრნენ I და II ეტაპის ტრენინგებს. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა დასასწრები 515 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 158 (30%) წევრი, მათ შორის 136 (86%) ქალი და 22 (14%) კაცი. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა დასასწრები 185 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 44 (24%) წევრი, მათ შორის 41 (93%) ქალი და 3 (7%) კაცი. III ეტაპი - განკუთვნილი საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობისთვის. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა დასასწრები 1 598 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 1 079 (68%) წევრი, მათ შორის 964 (90%) ქალი და 115 (10%) კაცი. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა დასასწრები 438 წევრიდან ტრენინგს დაესწრო 253 (58%) წევრი, მათ შორის 218 (86%) ქალი და 35 (14%) კაცი. IV ეტაპი - განკუთვნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა დასასწრები 309 ხელმძღვანელი პირიდან ტრენინგს დაესწრო 276 (89%) პირი, მათ შორის 254 (92%) ქალი და 22 (8%) კაცი. იმ უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდებოდა დასასწრები 90 ხელმძღვანელი პირიდან ტრენინგს დაესწრო 72 (80%) პირი, მათ შორის 58 (81%) ქალი და 14 (19%) კაცი. საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისთვის, სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-სასწავლო მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: http://electionreforms.ge/geo/list/show/3561-2023-tslis-29-aprilis-riggareshe-da-shualeduri-archevnebistvis-shemushavebuli-sainformatsio-sastsavlo-resursebi.	

4.1.1.4	საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის განახლება და გადამზადება	• შერჩეული ტრენერების რაოდენობა • გადამზადებული ტრენერების რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 I კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის 20 იანვარი-12 მარტის პერიოდში, ცესკოს და სწავლების ცენტრის ეგიდით, საარჩევნო პროფილით სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით, სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის განახლება და გადამზადება. პოტენციური ტრენერების რესურსის გადამზადების მიზნით, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა პროფილური სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ტრენერის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ შემდეგ მირითად საკითხებს: ტრენინგის დაგეგმვა და სტრუქტურა; ტრენინგის პროგრამის დიზაინი; ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია; ტრენინგის შეჯამება/შეფასების მექანიზმები; ტრენერის სახელმძღვანელოს/გზამკვლევის შედგენისა და გამოყენების ტექნიკა; პრეზენტაციის და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამის ბენეფიციარები ასევე გაეცნენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების გამოყენებით კენჭისყრის პროცესის განხორციელების ასპექტებს. ტრენინგები ჩაატარეს სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა. ცესკოს და სწავლების ცენტრის ეგიდით განსახორციელებელ სხვადასხვა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში ტრენერთა რესურსის გამოყენება მოხდება სწორედ ზემოაღნიშნული პროფილური სასწავლო პროგრამის გავლის შედეგების შესაბამისად. სწავლების ცენტრის მიერ 2023 წლის 20 იანვარს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე განხორციელდა პოტენციურ ტრენერთა კორპუსის ფორმირება. კონკურსის საფუძველზე, პოტენციურ ტრენერებად შერჩეულ იქნა და გადამზადდა 118 ტრენერი, მათ შორის 101 (86%) ქალი და 17 (14%) კაცი.	
4.1.1.5	საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის სასწავლო პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განხორციელება	• სასწავლო მასალა განახლებულია • მონაწილეთა რაოდენობა • განხორციელების არეალი	სწავლების ცენტრი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის 29 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“. პროექტი მიზნად ისახავდა დაინტერესებული პირების საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციურ წევრებად გადამზადებასა და საარჩევნო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ პროფილურ სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები საარჩევნო პროცესში ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე გაკეთდა. საინფორმაციო-სასწავლო კურსი სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 206-მა ტრენერმა განახორციელა. პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტში; კურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 16 298 მსურველი, მათ შორის 12 831 (79%) ქალი და 3 467 (21%) კაცი; კურსი გაიარა 13 137-მა პირმა, მათ შორის იყო 10 556 (80%) ქალი და 2581 (20%) კაცი; სერტიფიკატი გადაეცა 12 260 მონაწილეს, მათ შორის 10 046 (82%) ქალი და 2 214 (18%) კაცი.	

ამოცანა 4.2	**საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა**							
N	**აქტივობა**	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესრულების ვადა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**მოკლე აღწერა**	**ფერი**
4.2.1.1	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება	• საგამოცდო ტესტები განახლებულია • გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის შესახებ ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წლის 30 იანვარი-7 თებერვლის პერიოდში ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები. სერტიფიცირების სარეგისტრაციო პროცესი 2023 წლის 12 იანვრიდან 19 იანვრის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა როგორც დისტანციურად (ელექტრონული ფორმით), ისე სწავლების ცენტრში მოქალაქეთა მომსახურების მიზნებისთვის შექმნილი სამდივნოს მეშვეობით. გამოცდისთვის დარეგისტრირდა 782 მოქალაქე, მათ შორის იყო 607 (78%) ქალი და 175 (22%) კაცი; გამოცდაზე გამოცხადდა 365 მოქალაქე; გამოცდა წარმატებით ჩააბარა 90 პირმა, მათ შორის იყო 76 (84%) ქალი და 14 (16%) კაცი. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდების მეორე ეტაპი ცესკომ და სწავლების ცენტრმა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განახლებული კონცეფციით, 4-7 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით გახსნილ 13 საგამოცდო ცენტრში (თბილისი (ორი), თელავი, რუსთავი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ტყიბული, ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ბათუმი) განახორციელეს. პროცესის წარმართვა უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა სამდივნოს 32-მა წევრმა, მათ შორის იყო 24 (75%) ქალი და 8 (25%) კაცი. დაინტერესებულ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი. რეგისტრაცია წარიმართა როგორც დისტანციურად, ასევე გამოცდის სამდივნოების მეშვეობით. სწავლების ცენტრმა მოამზადა სერტიფიცირების დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს 2023 წლის 21 მარტის N31/2023 დადგენილებით. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად განაახლა ტესტები საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის. სულ განახლდა 840 საგამოცდო ტესტი. გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა. სულ დარეგისტრირდა 1773 პირი, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა 1252; გამოცდა ჩაბარა 1000-მა პირმა, მათ შორის იყო 741 (74 %) ქალი და 259 (26 %) კაცი.	
4.2.1.2	საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება	• სერტიფიცირების დებულება შემუშავებულია • საგამოცდო ტესტები შემუშავებულია • გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის შესახებ ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, რომლის თანახმადაც სერტიფიკატის ფლობა სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების ასარჩევად (საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული რიგი შემთხვევების გარდა), სწავლების ცენტრმა მოამზადა სერტიფიცირების დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს 2023 წლის 21 მარტის N32/2023 დადგენილებით. სერტიფიცირების გამოცდებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების ფუნქციების შესაბამისად შემუშავდა 146 ტესტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს 2023 წლის 25 მაისის N131 განკარგულებით და გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა. სერტიფიცირების პროცესი ორ ეტაპად წარიმართა: 2023 წლის 11-16 სექტემბერს ჩატარდა სასერტიფიკაციო გამოცდის I ეტაპი, რომელიც გაიმართა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა იყო 1 საათი. გამოსაცდელისთვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდებოდა 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა. გამოცდა ჩატარდა 16 მუნიციპალიტეტში (მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, შუახევი). უწყვეტად ფუნქციონირებდა საგამოცდო ცენტრი სტიქიის ზონაში, ქ. ოზურგეთში. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს, რომლებმაც ფორსმაჟორული სიტუაციის გათვალისწინებით ვერ მიიღეს მონაწილეობა მიმდინარე გამოცდებზე, შესაძლებლობა მიეცათ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდა ჩაებარებინათ სერტიფიცირების მეორე ეტაპზე. გამოცდაზე დარეგისტრირდა 6 299 მოქალაქე, გამოცხადდა - 4 912 (78%), გამოცდა ჩაბარა 4 813-მა (98%) პირმა, მათ შორის იყო 3 826 (79%) ქალი და 987(21%) კაცი. სასერტიფიკაციო გამოცდის II ეტაპი ჩატარდა 25-28 ოქტომბრის პერიოდში, 12 საგამოცდო ცენტრში (თბილისი (სამი), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, გორი, მესტია, ოზურგეთი). პროცესის წარმართვა უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა სამდივნოს 28-მა წევრმა. სულ დარეგისტრირდა 4430 პირი, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა - 3696 (83%). გამოცდა ჩაბარა 3655-მა (99 %) პირმა, მათ შორის 3207 (88%) ქალი და 448 (12%) კაცი. კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე, გამოცდის ჩატარების შესახებ სარეკლამო ვიდეორგოლი განთავსდა შემდეგი მაუწყებლების ეთერში: „ტელეიმედი“, GDS, „ტელეკომპანია პირველი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „პოსტვ“, სს მედია ჰოლდინგ (რუსთავი 2), „მთავარი არხი“. ასევე, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებსა და Facebook გვერდებზე.	

4.2.1.3	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება	• სერტიფიცირების დებულება შემუშავებულია • საგამოცდო ტესტები შემუშავებულია • გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა • გამოცდის შესახებ ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა	სწავლების ცენტრი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, რომლის თანახმადაც სერტიფიკატის ფლობა სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად (საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული რიგი შემთხვევების გარდა), სწავლების ცენტრმა მოამზადა სერტიფიცირების დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს 2023 წლის 21 მარტის N32/2023 დადგენილებით. სერტიფიცირების გამოცდებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ფუნქციების შესაბამისად შემუშავდა 87 ტესტი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს 2023 წლის 25 მაისის N132 განკარგულებით და გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა. სერტიფიცირების პროცესი ორ ეტაპად წარიმართა: I ეტაპზე გამოცდები ჩატარდა 27 სექტემბერი - 6 ოქტომბრის პერიოდში, 16 საგამოცდო ცენტრში (მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, შუახევი); პროცესის წარმართვა უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა სამდივნოს 37-მა წევრმა. სულ დარეგისტრირდა 8124 პირი, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა 5861 (72%). გამოცდა ჩაბარა 5813-მა პირმა, მათ შორის 4682 (80%) ქალი და 1131 (20%) კაცი. II ეტაპზე გამოცდები ჩატარდა 10-16 ნოემბრის პერიოდში, 12 საგამოცდო ცენტრში (თბილისი (სამი), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, გორი, მესტია, ოზურგეთი). პროცესის წარმართვა უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა სამდივნოს 28-მა წევრმა. სულ დარეგისტრირდა 6257 პირი, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა 4788 (77%). გამოცდა ჩაბარა 4752-მა (99%) პირმა, მათ შორის 4198 (88%) ქალი და 554 (13%) კაცი. გამოცდის ჩატარების შესახებ სარეკლამო ვიდეორგოლი განთავსდა შემდეგი მაუწყებლების ეთერში: „ტელეიმედი“, GDS, „ტელეკომპანია პირველი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „პოსტვ“, სს მედია ჰოლდინგ (რუსთავი 2), „მთავარი არხი“. ასევე, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებსა და Facebook გვერდებზე.	
4.2.1.4	საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა	• კომპიუტერული ტექნიკა შესყიდულია • მოწყობილი საგამოცდო ცენტრების რაოდენობა • პროგრამა განახლებულია • პროგრამის ტესტირება ჩატარებულია	საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი	2023 I კვარტალი	განხორციელდა	100 %	საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების სასერტიფიკაციო გამოცდების მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 250 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების პროგრამულ უზრუნველყოფაში სათანადო ცვლილებების შეტანა. სერტიფიცირების I ეტაპისთვის საგამოცდო ცენტრი მოეწყო 16 მუნიციპალიტეტში (მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ქუთაისი, წყალტუბო, ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, შუახევი). გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამულად და სისტემურად გაიმართა 404 ერთეული გამოსაცდელის და რეგისტრატორის კომპიუტერი. ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება. ვადების შესაბამისად განხორციელდა სერტიფიცირების მსურველთა რეგისტრაცია. სერტიფიცირების II ეტაპისთვის, 12 საგამოცდო ცენტრისთვის, მომზადდა კომპიუტერული ქსელის გამართვისთვის საჭირო ტექნიკის და ინვენტარის სრული ჩამონათვალი. ასევე, განხორციელდა 10 ახალი საგამოცდო ცენტრის კომპიუტერული და ელექტრო ქსელით დაკაბელება, 282 სამუშაო ადგილისთვის კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების მონტაჟი და გამოცდის სრული პროცესის ტესტირება. ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა ტექნიკურ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ პირებს. ცესკოს ტრენერთა სერტიფიცირებისთვის გლდანის საგამოცდო ცენტრში გაიმართა 35 გამოსაცდელის და 2 რეგისტრატორის სამუშაო ადგილი. ასევე, უზრუნველყოფილ იქნა ტესტირება და გამოცდის მიმდინარეობისას ტექნიკური მხარდაჭერა. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირებისთვის 13 საგამოცდო ცენტრში განაწილდა კომპიუტერული ქსელის გამართვისთვის საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, საგამოცდო ცენტრებში დამონტაჟდა კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობები, შემოწმდა სერტიფიცირების გამოცდის ელექტრონული პროგრამა და ჩატარდა საგამოცდო პროცესის სრული ტესტირება. ყველა შემთხვევაში საგამოცდო პროცესი წარიმართა ხარვეზების გარეშე და დასრულდა წარმატებით. 2024 წლის I კვარტალში დაგეგმილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და კომისიის წევრთა სერტიფიცირების მესამე ეტაპისთვის საჭირო 8 საგამოცდო ცენტრიდან განხორციელდა 4 ახალი საგამოცდო ცენტრის კომპიუტერული და ელექტრო ქსელით დაკაბელება, კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების მონტაჟი. ამ დროისთვის მიმდინარეობს დარჩენილი 4 საგამოცდო ცენტრის გამართვა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარება.	
4.2.1.5	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის განხორციელება	• კურსში მონაწილეთა რაოდენობა • სასწავლო მასალა განახლებულია	სწავლების ცენტრი	2023 I-IV კვარტალი	განხორციელდა	100 %	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის უფასოდ გავლის შესაძლებლობა ჰქონდა ყველა მოქალაქეს, ვინც სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის პროცესში შესაბამის სარეგისტრაციო განაცხადში დაადასტურებდა მოსამზადებელი კურსის გავლის სურვილს. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსი ეფუძნებოდა საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ტესტების შინაარსობრივ განხილვას და პრაქტიკულ დავალებებს. I ეტაპზე სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსი, დისტანციურ ფორმატში (zoom პლატფორმა), 2023 წლის 23-27 იანვრის პერიოდში ჩაუტარდათ იმ პირებს, რომლებიც 2023 წლის 30 იანვარი-7 თებერვლის პერიოდში ჩასატარებელ გამოცდაზე დარეგისტრირდნენ. გამოცდისთვის რეგისტრირებული 782 პირიდან კურსის გავლაზე თანხმობა 643-მა (82%) მოქალაქემ დაადასტურა. სასწავლო კურსი გაიარა 392-მა პირმა, მათ შორის იყო 330 (85%) ქალი და 62 (15 %) კაცი. პროგრამის განხორციელება სწავლების ცენტრის მიერ ტრენერებად გადამზადებულმა სსკ-ების 9 წევრმა და სწავლების ცენტრის ერთმა წარმომადგენელმა (მათ შორის 5 (50%) ქალი და 5 (50%) კაცი) უზრუნველყვეს. II ეტაპზე გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსი, ასევე დისტანციურ ფორმატში (zoom პლატფორმა), 2023 წლის 29 ნოემბერი - 1 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა. სასწავლო კურსის სრულმა ხანგრძლივობამ შეადგინა 3 დღე (დღეში 2 საათი). კურსი ჩატარდა სწავლების ცენტრის 3 ტრენერის მიერ, მათ შორის იყო 2 (67%) ქალი და 1 (33%) კაცი. სასწავლო კურსი გაიარა 268-მა პირმა, მათ შორის სრული კურსი (3 დღე) გაიარა 174-მა პირმა (147 (84%) ქალი და 27 (16%) კაცი).	

სტრატეგიული პრიორიტეტი	**ტექნოლოგიური განვითარება**
მიზანი 5	**საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან**
ამოცანა 5.1	**საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია**

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი
5.1.1.1	საარჩევნო ოპერაციების ბიზნეს პროცესის აღწერა	საარჩევნო ოპერაციების ბიზნეს პროცესის დოკუმენტი შექმნილია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 I კვარტალი	განხორციელდა	100 %	გაიწერა საარჩევნო ოპერაციების ბიზნეს პროცესები. შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ბიზნეს პროცესები საარჩევნო ოლქებისთვის/უბნებისთვის როგორც ახალი, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე ტრადიციული მეთოდით ჩასატარებელი არჩევნების შესახებ. დოკუმენტი განთავსებულია შიდა დისკზე "Angarishebi".	
5.1.1.2	საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენის ბიზნეს პროცესის აღწერა	საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენის ბიზნეს პროცესის დოკუმენტი შექმნილია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 III კვარტალი	განხორციელდა	100 %	დეტალურად იქნა შესწავლილი 2021 წლის არჩევნებისათვის შექმნილი 3 664 საარჩევნო უბანი და მათი საზღვრები. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისათვის შეიქმნა 2 755 საარჩევნო უბანი, მათ შორის 1 988 საარჩევნო უბანი, სადაც კენჭისყრის დღეს იქნება გამოყენებული ელექტრონული საშუალებები და 767 საარჩევნო უბანი, სადაც არჩევნები ჩატარდება ტრადიციული წესით. საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, შემუშავდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიისთვის ერთიანი სტანდარტი საარჩევნო უბნების გამსხვილების ნაწილში. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის საარჩევნო უბნების მისაწვდომობის საკითხი.	
5.1.1.3	ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის შექმნა	ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის დოკუმენტი შექმნილია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	შეიქმნა ლოგისტიკის ბიზნესპროცესი, რომლის იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს საუკეთესო და ერთგვაროვან პრაქტიკას ლოგისტიკური პროცესების განხორციელებისას. შედეგად 73 სსკ-ს ექნება მოქნილი და ერთგვაროვანი მიდგომა როგორც ელექტრონულ, ისე, ტრადიციულ საარჩევნო უბნებზე. შეიქმნა ზუსტი აღრიცხვის ფორმები/დოკუმენტები; ბიზნესპროცესში დეტალურად გაიწერა საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის დასაწყობების, რაოდენობის განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ეტაპები.	
5.1.1.4	საარჩევნო ოპერაციების შეფასების სისტემის შექმნა	შეფასების წესი შექმნილია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 III კვარტალი	განხორციელდა	100 %	დეპარტამენტმა შექმნა საარჩევნო ოპერაციების შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც საარჩევნო პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად ადაპტირდა ტექნიკურ მოწყობილობებში.	

მიზანი 6	**ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში**
ამოცანა 6.1	**კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით**

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი
6.1.1.1	საარჩევნო ინფორმაციის/დოკუმენტაციის ადაპტირება ელექტრონულ მოწყობილობასთან	• ტექნიკური მოთხოვნები იდენტიფიცირებულია • ამომრჩეველთა სია მოწყობილობებში ჩატვირთულია • მთვლელ მოწყობილობებში საარჩევნო ინფორმაცია განთავსებულია • მონაცემები საარჩევნო უბნების შესახებ მოწყობილობებში განთავსებულია • ბიულეტენის სტანდარტი შექმნილია	საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	დადგინდა სისტემისადმი ტექნიკური მოთხოვნები, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და ელექტრონულ მოწყობილობებში განთავსდა აპარატებისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინფორმაცია. ჩატარდა იმიტირებული არჩევნები და უწყვეტი დატვირთვის პირობებში გაიტესტა აპარატები. ტრენინგებისთვის გაიმართა პლანშეტები, PCOS და VIU აპარატები. კენჭისყრის დღისთვის გაიმართა და უბნების მიხედვით დაკომპლექტდა PCOS-ები, VIU-ები. საარჩევნო უბნებისთვის ტექნიკურად და პროგრამულად გაიმართა 164 პლანშეტი. მომზადდა ელექტრონული მანქანებისთვის განკუთვნილი ბიულეტენების საბეჭდი ვერსიები.	
6.1.1.2	ტექნოლოგიების პილოტირება შუალედურ და რიგგარეშე არჩევნებზე	• საარჩევნო უბნების რაოდენობა • გამოვლენილი ხარვეზების რაოდენობა	საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	2023 წელს ჩატარებულ რიგგარეშე/შუალედურ არჩევნებზე მოხდა ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) პილოტირება და არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით 29 აპრილს – 117, ხოლო 1 ოქტომბერს – 103 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. პლანშეტებისთვის შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა, რამაც საშუალება მოგვცა უმუალოდ უბნებიდან მიგვეღო შემაჯამებელი ოქმები. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა წინასწარი შედეგების გასაჯაროების დრო. გამოვლინდა 7 სახის ტექნიკური ხარვეზი (თერმული ქაღალდის არასწორად მოთავსება, ხმის მთვლელ ელექტრონულ სკანერში/ყუთში ბიულეტენის არასწორად მოთავსება, ხმის მთვლელ ელექტრონულ სკანერში/ყუთში QR კოდის გარეშე ფურცლის (A4 ფურცელი) მოთავსება, ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის გადაკეცვა, საცდელი წრის გაფერადებაზე უარის თქმა, ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა, ხმის მთვლელი ელექტრონული სკანერის დაზიანება).	

ამოცანა 6.2		ელექტრონული სერვისების განვითარება						
N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი
6.2.1.1	პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატების ელექტრონული რეგისტრაციის შესაძლებლობის შექმნა	• ტექნიკური დავალება მომზადებულია • მაჟორიტარი და მერობის კანდიდატების რეგისტრაციის მოდული შექმნილი და ტესტირებულია • პარტიული სიის რეგისტრაციის მოდული შექმნილი და ტესტირებულია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 I კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	80 %	ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამაში კანდიდატების (მაჟორიტარი/მერი) მოდულისთვის გაწერილი ტექნიკური დავალების მიხედვით, EMS სისტემაში შეიქმნა შესაბამისი მოდულები, რომლის საშუალებითაც 2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტებმა წარადგინეს მაჟორიტარი და მერობის კანდიდატები. შესაბამისად, ელექტრონული რეგისტრაციის (EMS) პროგრამის საშუალებით რეგისტრაციაში გატარდა 2 საარჩევნო სუბიექტის პარლამენტის წევრობის 2 მაჟორიტარი და მერობის 1 კანდიდატი. EMS სისტემაში პარტიული სიის (პარლამენტის/საკრებულოს) ელექტრონული რეგისტრაციის მოდულისთვის, ტექნიკური დავალება მომზადებული/გაწერილია და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის მიწოდებულია. ამჟამად მიმდინარეობს "პარტიული სიის" ელექტრონული რეგისტრაციის მოდულის (პარლამენტი/საკრებულო) ქვემოდულის - "საკრებულო" ტესტირება.	
6.2.1.2	ამომრჩევლების საინფორმაციო აპლიკაციის გაუმჯობესება	• ტექნიკური დავალება მომზადებულია • დამატებული სერვისების რაოდენობა • პროგრამა შექმნილი და ტესტირებულია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	30 %	ამომრჩეველების საინფორმაციო აპლიკაციის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა ტექნიკური დავალება და გაიწერა აპლიკაციაში დასამატებელი საკითხები.	

ამოცანა 6.3		ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა						
N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი
6.3.1.1	საარჩევნო უბნის განთავსების სტანდარტის შექმნა	საარჩევნო უბნის განთავსების სტანდარტის დოკუმენტი შექმნილია	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	დეპარტამენტმა დეტალურად შეისწავლა 2021 წლის არჩევნებისთვის შექმნილი 3 664 საარჩევნო უბანი. ახალი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, შემუშავდა კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შეიქმნა საარჩევნო უბნების სტანდარტის დოკუმენტი. გათვალისწინებულ იქნა: • საარჩევნო უბნების ფართების მოცულობა ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად; • საარჩევნო უბანზე განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების რაოდენობა საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილების შესაბამისად; • ხელმისაწვდომობა ყველა კატეგორიის ამომრჩევლებისთვის. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის შეიქმნა 2 755 საარჩევნო უბანი, მათ შორის 1 988 საარჩევნო უბანი, სადაც კენჭისყრის დღეს იქნება გამოყენებული ელექტრონული საშუალებები და 767 საარჩევნო უბანი, სადაც არჩევნები ჩატარდება ტრადიციული წესით.	
6.3.1.2	ელექტრონული მოწყობილობების შესყიდვა	• ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სპეციფიკაცია მომზადებულია • შესყიდული ელექტრონული მოწყობილობები საქართველოში დასაწყობებულია	საფინანსო დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50 %	საერთაშორისო კომპანია "სმარტმატიკთან" 2023 წლის 8 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში "სმარტმატიკის" მიერ მოწოდებული იქნა და დასაწყობდა 840 ცალი ვერიფიკაციის აპარატი სახარჯი მასალებით, 520 ცალი ხმის მთვლელი აპარატი სახარჯი მასალებით. ასევე უსასყიდლოდ გადმოცემულ იქნა 170 ცალი ტაბლეტი. ელექტრონული მოწყობილობების აღნიშნული რაოდენობით ნაწილობრივ იფარება 2024 წლისთვის საჭირო რაოდენობაც. 2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე და 2024 წელს გასამართი არჩევნებისთვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ცესკოსთან კოორდინაციით გამოცხადდა ტენდერი ცესკოს მიერ ელექტრონული მოწყობილობების შესყიდვის მიზნით. საერთო ჯამში, ცესკოსს და კომპანია „სმარტმატიკს“ შორის გაფორმებული კონსოლიდირებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოწოდებულ იქნა და დასაწყობდა 936 ცალი ხმის მთვლელი აპარატი, 995 ცალი მაკოპლექტებელი ყუთი თავსახურით, 1401 ცალი ვერიფიკაციის აპარატი, 19 000 ცალი მარკერი, 5536 თერმული ქაღალდი, 756 ცალი ფლეშ მეხსიერება და 270 ცალი ქსელის მარშუტიზატორი.	
6.3.1.3	თანამშრომლობა სახელმწიფო/ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან საარჩევნო უბნებისთვის შენობების გამოყოფის შესახებ	• გამართული შეხვედრების რაოდენობა • საუბნო საარჩევნო კომისიისთვის საჭირო ფართი გამოყოფილია • ტრენინგებისთვის საჭირო ფართი გამოყოფილია • ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მისაწვდომი საარჩევნო უბნებისთვის გამოყოფილი შენობების რაოდენობა	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი	2023 II კვარტალი	განხორციელდა	100 %	საარჩევნო უბნებისთვის შენობა-ნაგებობების გამოყოფის მიზნით 13 სახელმწიფო უწყებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. 2023 წლის 29 აპრილის და 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ყველა საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი იყო შესაბამისი ფართები. 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის 165 საარჩევნო უბნიდან 15 საარჩევნო უბანზე იყო მარტივი ადაპტაცია, ხოლო 54 საარჩევნო უბანზე იყო პანდუსი. 2023 წლის 1 ოქტომბრის რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისათვის 133 საარჩევნო უბნიდან 17 საარჩევნო უბანზე იყო მარტივი ადაპტაცია, ხოლო 29 საარჩევნო უბანზე იყო პანდუსი.	
6.3.1.4	სასაწყობე ინფრასტრუქტურის შექმნა (ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისია)	• სასაწყობო ფართის მოთხოვნები შემუშავებულია • სასაწყობო ადგილი შერჩეული და მოწყობილია	საფინანსო დეპარტამენტი	2023 I-IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40 %	საარჩევნო ადმინისტრაციას ელექტრონული მოწყობილობების დასაწყობების მიზნით და ცენტრალიზებული სასაწყობო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად გადმოეცა მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობით, რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა, გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება და საწყობის ფართის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, განხორციელდა წინამოსამზადებელი და სადემონტაჟო სამუშაოები. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი სასაწყობო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს არჩევნების ელექტრონული საშუალებებით ჩატარებას და მასთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელებას.	

№	სტატუსი	პროგრესის შესაბამისად	ფერი
1	არ დაწყებულა	0	
2	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%	
3	მიმდინარე - მეტწილად	51%-99%	
4	განხორციელდა	100%	
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%	
6	გაუქმებულია	0%-99%	
7	შეჩერებულია	0%-99%	